ახალი განათლება

2015 წელი, 4 - 10 ივნისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№21 (695) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

საქართველოს ახალი იდეები, ახალი სახეები, ახლებურად განვითარება სჭირდება

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია
ჯაბა მესხიშვილი,
კობეს უნივერსიტეტის დოქტორანტი

გვერდი 4

მწერალი, რომელმაც ერთი ჩვეულებრივი მოსწავლე რადიკალურად შეცვალა

გვერდი 9

ინფორმაცია

საქართველო – ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის წევრი ქვეყანა

ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყება

გვერდი 3

პედაგოგთა დასახმარებლად

კარაოკე

ფრანგული ენა

გვერდი 6

სასკოლო აქტივობა

კლუბური მუშაობის როლი სამოქალაქო განათლების სწავლებაში

გვერდი 8

CMYK

ინფორმაცია

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას დაესწრო და, ბავშვებთან ერთად, სხვადასხვა აქტივობებში მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბოტანიკის ინსტიტუტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო მათ მიერ შესრულებული ნახატები, ფოტოები და ხელნაკეთი ნივთები.

ამ დღესთან დაკავშირებით, პანკისიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ჩამოსულ სკოლის მოსწავლეებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა საინტერესო სამეცნიერო ტური მოუწყო. სპეციალურად მოწყობილ სტენდზე, მოსწავლეებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სახალისო სამეცნიერო ექსპერიმენტებში ბიოლოგიისა და ქიმიური ბიოლოგიის მიმართულებით; ცდებში მონაწილე მოსწავლეები „დამწყები მეცნიერის“ სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. უნივერსიტეტის მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კუთხეში, სტუმრები, 3D პრინტერით, სხვადასხვა ნივთების დამზადების პროცესს ეცნობოდნენ. მთელი დღის განმავლობაში მოსწავლეებისთვის მუშაობდა კომპიუტერული თამაშების ლაბორატორიის კუთხე, სადაც ოკულუსების საშუალებით მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ვირტუალურად გაცნობოდნენ უნივერსიტეტში მოქმედ სხვადასხვა ლაბორატორიას. სამეცნიერო სტენდზე მოსწავლეებმა დაათვალიერეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებისა და სტუდენტების მიერ დამზადებული დანადგარები, მათ შორის, სეისმურობის საზომი მოწყობილობა.

მოსწავლეებმა ბოტანიკის ინსტიტუში არსებული ლაბორატორია და ჰერბარიუმიც დაათვალიერეს და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შეჯიბრებებში, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის რეკომენდაციით შემუშავდა.

ღონისძიებას მუსიკალურად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვოკალური ჯაზ-ბენდი აფორმებდა.

თამარ სანიკიძე: *„პირველ რიგში, ყველას ვულოცავ დღევანდელ დღეს – ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს. ყველანი უნდა გავერთიანდეთ იმისათვის, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მსოფლიოში არსებული პრობლემის მოგვარებაში, უზრუნველვყოთ ბავშვთა უფლებების დაცვა, მათი ინტერესების წინა პლანზე წამოწევა. ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, მიუხედავად იმისა, ვიქნებით პოლიტიკაში თუ საზოგადოებაში, ეს თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა.*

დღეს აქ ვიხილეთ გამოფენა, რომელიც შესრულებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მიერ; ნახატები, მხედველობადაქვეითებულმა ბავშვებმა შექმნეს. არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბავშვები გვყავს, მათ ხელშეწყობა და მხარდაჭერა სჭირდებათ. ისინი მონდომებულები არიან, რომ იყვნენ მოწინავენი. ჩვენ მუდმივად მათ სამსახურში ვიქნებით.“

ვიქტორ ბოისა, კალათბურთელი: *„ვულოცავ ბავშვებს დღევანდელ დღეს, არა მარტო აქ შეკრებილებს, ყველას. დავათვალიერე გამოფენა და აღფრთოვანებული ვარ, ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან. ვუსურვებ მათ ყველაფერს საუკეთესოს.“*

ეკა მიშველაძე, „პირველი სტუდიის“ წამყვანი: *„ძალიან მიხარია, რომ სხვადასხვა უწყებები, კერძოდ სახელმწიფო ორგანიზაციები, იცლიან იმისათვის, რომ ბავშვებს საჩუქრები გაუკეთონ, მიულოცონ, გაახალისონ მათი ცხოვრება. განსაკუთრებით იმ ბავშვების, ვისაც ყველაზე მეტად აკლია ჩვენი ყურადღება. ყოველთვის სიხარულით ვმონაწილეობ მსგავს ღონისძიებებში. ყველა ბავშვს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ , რომ მათ ბედნიერ ქვეყანაში იცხოვრონ.“*

ზვიად ძიძიგური, დეპუტატი: *„მინდა დიდი სიყვარულით და სიხარულით მივულოცო ბავშვებს დღევანდელი დღე. ასევე, მინდა გამოვთქვა სიხარული, რომ წელს უფრო მეტი ბავშვი დაიბადა ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე 2013-ში. სასიხარულოა, ასევე, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, მოაწყონ თავიანთი ნახატების, ნამუშევრების გამოფენა. დღეს ძალიან კარგი ღონისძიება შემოგვთავაზა განათლების სამინისტრომ. მინდა ყველა ბავშვს ვუსურვო, რომ ჰქონოდეს ისეთი ქვეყანა და იმის შესაძლებლობა, რომ სათანადო განათლება მიიღოს და მაქსიმალურად გამოადგეს თავის ხალხს.“*

სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მსმენელებს სერტიფიკატები გადაეცათ

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში მსმენელთა გამოშვების ცერემონია გაიმართა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასაქმებულ 74 საჯარო მოხელეს დარგობრივი კურსების დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** და საქართველოს პარლამენტის წევრმა **ელისო ჩაფიძემ** გადასცეს.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში მსმენელთა გადამზადება შემდეგი მიმართულებით წარმოებს:

– საჯარო ორგანიზაციების მართვა;

– ფინანსური მენეჯმენტი და შიდა აუდიტი საჯარო მოხელეთათვის;

– სახელმწიფო შესყიდვები;

– ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებას, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათ მიერ მართულ სამეწარმეო და არასამეწარმეო ორგანიზაციებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებულ პირთა გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას ითვალისწინებს.

სკოლის პრიორიტეტია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში, საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების გზით, კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა.

ეთნიკური უმცირესობების საერთო საჯარო სივრცეში ინტეგრაციას 8 რეგიონული სასწავლო ცენტრი ემსახურება, რომელიც სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში ფუნქციონირებს. რეგიონულ ცენტრებში სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამა საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისთვის ხორციელდება. სახელმწიფო ენის კურსის მიზანია, მსმენელებმა გაიღრმავონ ცოდნა, რათა სრულყოფილად შეძლონ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება, წერილებისა და სხვადასხვა დოკუმენტების შედგენა.

რეგიონული ცენტრების წარმატებულ კურსდამთავრებულებს ქუთაისში, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, სახელმწიფო ენის ინტენსიური კურსის გავლისა და დარგობრივ კურსებზე სწავლის გაგრძელების საშუალება ეძლევათ.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების თვითმმართველობაში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. ამ მხრივ, სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სრული მხარდაჭერა აქვს. გადამუშავდა ყველა პროგრამა და გამუდმებით მიმდინარეობს მუშაობა მათი განვითარებისა და დახვეწის მიზნით.“*

დავით დვალი, საკრებულოს თავმჯდომარე: *„დარწმუნებული ვარ, ყველა, ვინც ამ სკოლაში გაივლის მომზადებას, ღირსეულად და ხარისხიანად შეასრულებს თავის სამუშაოს. რაც შეეხება თავად სკოლას, მიმაჩნია, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის მაკეთებელი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო უწყებაა. მნიშვნელოვანია ამ სკოლაში განხორციელებული ყველა პროექტი, ეხება მაღალმთიან რეგიონებს თუ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულს. იგივე შეიძლება ითქვას სწავლების ფორმატზეც, ყველა პროგრამაზე, რომელიც აქ მუშავდება. ვფიქრობ, რომ ასე გაგრძელდება მომავალშიც და არა მხოლოდ გაგრძელდება, ზრდის ტენდენციაც ექნება.“*

თამაზ ხარატიშვილი: *„გავიარე ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ფინანსური მენეჯმენტისა და შიდა აუდიტის საკითხებში. ეს სკოლა კვალიფიციური პედაგოგებითაა დაკომპლექტებული. მისი გავლა აუცილებელია ყველა საჯარო მოხელისთვის, რადგან აქ ისეთ თვისებებს იძენ, რომლებიც საჯარო მოხელისთვის აუცილებელი კომპონენტებისგან შედგება.“*

ინფორმაცია

საქართველო – ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის წევრი ქვეყანა

საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის (დუბნა) წევრი ქვეყნების წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** დაესწრო. შეხვედრაზე იმსჯელეს ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობის შედეგებზე, პერსპექტივებზე, ერთობლივ პროექტებსა და ამ პროექტებში ქართველი ფიზიკოსების ჩართვის თაობაზე.

ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტი წარმოადგენს საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციას, რომლის კვლევის სფეროა ბირთვული ფიზიკა. ინსტიტუტში გაერთიანებულია მსოფლიოს 18 ქვეყანა, მათ შორის საქართველო. ინსტიტუტი თანამშრომლობს საერთაშორისი ორგანიზაციებთან: Fermilab (აშშ), KEK (იაპონია), CERN (შვეიცარია) და DESY (გერმანია), მსოფლიოს 700-მდე სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან და 60 უმაღლეს სასწავლებელთან; აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო პროექტებში (LHC, FAIR, XFEL).

საქართველოს თითქმის ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს ფიზიკა-მათემატიკის დარგში, წარმატებით თანამშრომლობს დუბნის კვლევით ინსტიტუტთან, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართველი ფიზიკოსების დასაქმებაში და მათ ჩართვაში საერთაშორისო პროექტებში. დღეისათვის, 30-მდე ქართველი მეცნიერი წარმატებით მოღვაწეობს აღნიშნული ინსტიტუტის კვლევით ლაბორატორიებში, მათთვის გახსნილია გზა მსოფლიოს მოწინავე საერთაშორისო პროექტებში.

ქართველ მეცნიერებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის დიდი საინფორმაციო ბაზით. ინსტიტუტთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი უნიკალური საშუალებაა ქართველი ასპირანტებისთვის გაიარონ პრაქტიკა და მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება. სტუდენტებისთვის შექმნილია სპეციალური პირობები იმისთვის, რომ მათ შეძლონ როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავება, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა და აქტიურად ჩართვა ინსტიტუტის სხვადასხვა ლაბორატორიების კვლევით საქმიანობაში.

ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტი მუდმივად ვითარდება საერთაშორისო მოთხოვნების მიხედვით. ინსტიტუტის განვითარების სტრატეგია მოიცავს: ახალი საბაზო დანადგარების შექმნას, არსებულთა განახლება-მოდერნიზირებას და საერთაშორისო პროექტებში აქტიურ მონაწილეობას, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: CERN (შვეიცარია), KEK (იაპონია), GSI (გერმანია), FNAL, BNL (აშშ) და ითვალისწინებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. საქართველოს, როგორც სრულუფლებიან წევრს, აქვს შესაძლებლობა, უფრო მეტი სპეციალისტი ჩართოს და დაასაქმოს საერთაშორისო პროექტებში.

თამარ სანიკიძე: *„ბირთვული კვლევების საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაცია დღეს კონფერენციას მართავს საქართველოში, რაც, თავისთავად, უკვე კარგია. საინტერესოა ის მასშტაბური პროექტი, რომელიც ახლა იწყება და, ვფიქრობ, მათი მოღვაწეობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია. მის ფარგლებში, აშენდება ახალი კოლაიდერები და შესაბამისად, მომზადდება ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ძალიან ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია.*

რაც ყველაზე მთავარია, ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორებიცაა: ამერიკა, შვეიცარია, კანადა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნები, პროექტში ჩართული იქნება საქართველო, როგორც ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. საუბარია არა მხოლოდ ინტელექტუალურ ან მეცნიერთა ჩართულობაზე, არამედ კონკრეტული დაკვეთების შესრულებაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის და ისეთი დარგის განვითარებისთვის, როგორიც მანქანათმშენებლობაა. პროექტში, თავიდან ბოლომდე, ჩართული ვიქნებით ტექნიკური უნივერსიტეტის ეგიდით. ბოლომდე მივყვებით პროცესებს, რომლიდანაც ძალიან დიდი სარგებელი უნდა მიიღოს როგორც სამეცნიერო საზოგადოებამ, ასევე ზოგადად ქვეყანამ“.

არჩილ ფრანგიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი: *„დღეს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტარდება მრგვალი მაგიდა, რომელიც ფუნდამეტური და გამოყენებითი ფიზიკის საკითხებს ეძღვნება. მინდა აღვნიშნო, რომ დუბნის გაერთიანებული კვლევითი ბირთვული ინსტიტუტი იწყებს ახალი კოლაიდერის მშენებლობას. ეს უმსხვილესი პროექტია და სასიამოვნოა, რომ დღეს მოხდა შეთანხმება დუბნასა და ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, რომლის თანახმადაც ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ 4-მილიონიან პროექტში. საქართველოში დამზადდება ნაწილები კოლაიდერისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, არამედ ქვეყნისთვის, რადგან ეს ნიშნავს ძალიან მაღალი ტექნოლოგიების შემოტანას საქართველოში.“*

იოშიტაკა კუნო, ოსაკას უნივერსიტეტის პროფესორი: *„ჩვენი უნივერსიტეტი, ფიზიკის დარგში, თანამშრომლობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებთან. ჩვენთან მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი და ქართველ ახალგაზრდა სპეციალისტებს ამ ექსპერიმენტში ჩართვის საშუალებას ვაძლევთ, მხარს ვუჭერთ საექსპერტო ჯგუფს საქართველოში.“*

ვიქტორ მატვეევი, ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორი: *„ეს ჩვენი პირველი ვიზიტია ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამ ვიზიტის ფარგლებში, შევხვდით განათლების მინისტრსა და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს. ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობაში ქართველი ფიზიკოსების კონტრიბუციები ძალიან დიდადაა დაფასებული. ამჟამად ვახორციელებთ ძალიან ამბიციურ საერთაშორისო პროექტს, რომელიც ახალ ქიმიურ ელემენტზე მუშაობას გულისხმობს. ქართველი მეცნიერები ფუნდამენტური ფიზიკის პროექტის აქტიური მონაწილეები გახდნენ, რაც მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სფეროსთვის.“*

ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN) თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყება

საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფება ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) პროექტის CMS მთავარი მენეჯერი **პიერლუიჯი პაოლუჩი**, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს **თამარ სანიკიძეს** შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო პროექტის CMS ფარგლებში ქართულ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობას, ცერნის პროექტებში ჩართული ქართველი პროფესორებისა და სტუდენტების საქმიანობას და მომავალ ერთობლივ პროექტებს. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე გამოიკვეთა ზოგიერთი პროექტის საქართველოში განხორციელების შესაძლებლობა, რაც ძალიან დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ამისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, შეიძლება გაკეთდეს სპეციალური ლაბორატორიები, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე დანადგარებით, მოეწყობა გარემო, სადაც მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები განხორციელდება.

ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) ეგიდით წარმოებული ყოველი სამუშაო საერთაშორისო მნიშვნელობისაა და მასში მონაწილეობა ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის აღიარებაა.

თამარ სანიკიძე: *„2014 წლიდან საქართველოს კონტრიბუცია CMS-ის ექსპერიმენტში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. დღეს ჩვენ ვისაუბრეთ იმ მიღწევებზე, რომლებიც ამ კონკრეტული პროექტის ფარგლებში გვაქვს. მნიშვნელოვანია, რომ ძალიან ბევრი ქართველი ახალგაზრდა უკვე სრულადაა ჩართული ამ პროექტის განხორციელებაში.*

ვისაუბრეთ ახალ შესაძლებლობებზეც, რომელიც აქ, ლოკალურად, საქართველოში შეიძლება გაკეთდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, იქნება ეს ლაბორატორიების მოწყობა თუ სამუშაო ადგილების გამართვა იმისათვის, რომ მეცნიერებს, რომელთაც ჩვენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასე ვთქვათ, მოვუყარეთ თავი, შესაძლებლობა მიეცეთ, უფრო საფუძვლიანად და მიზანმიმართულად იმუშაონ ახალგაზრდებთან, რათა უზრუნველყონ მათი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, მათ შორის ცერნში.“

პიერლუიჯი პაოლუჩი: *„ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს ქართულ უნივერსიტეტებთან. მე დღეს აქ ვარ, რათა განათლების მინისტრს აღვუწერო, თუ როგორ მუშაობენ ქართველი პროფესორები და სტუდენტები ცერნში, რამდენად მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ ისინი. ჩვენ გვაქვს ფორმალური შეთანხმება იტალიასთან, რომლის საფუძველზეც, ვახორციელებთ ტექნოლოგიების, სტუდენტებისა და პროფესორების ტრანსფერებს. შევეცდებით, საქართველოშიც შევქმნათ რაიმე მსგავსი.“*

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

საქართველოს ახალი იდეები, ახალი სახეები, ახლებურად განვითარება სჭირდება



რუბრიკის სტუმარია ჯაბა მესხიშვილი, კობეს უნივერსიტეტის დოქტორანტი

– ჯაბა, გვიამბე მოსწავლეობის პერიოდზე, რამდენად წარმატებული მოსწავლე იყავი, გარკვეულწილად, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– მოსწავლეობის პერიოდი თბილისის მე-5 საშუალო სკოლაში გავატარე. სკოლაში ჩვეულებრივი მოსწავლე ვიყავი, ჩემი აზრით, არაფრით გამორჩეული სხვა მოსწავლეებისგან. ვსწავლობდი საშუალო დონეზე, ოღონდ მქონდა ჩემი „უცნაურობები“, იმ საგნების სწავლით, რომლებიც არ მიყვარდა (ძირითადად ტექნიკური საგნები), დიდად თავს არ ვიწუხებდი. ყველაზე მეტად მიყვარდა ისტორია-გეოგრაფია, ამიტომ ამ საგნებს განსაკუთრებული მონდომებით ვსწავლობდი, კლასგარეშე ლიტერატურასაც დიდი ინტერესით ვკითხულობდი. ჩემი პროფესიული არჩევანი სკოლას ნამდვილად არ განუსაზღვრავს და არჩევანი დამოუკიდებლად გავაკეთე. წავიკითხე რამდენიმე წიგნი იაპონიის შესახებ და წაკითხულმა იმდენად დამაინტერესა, გადავწყვიტე იაპონური ენის შესწავლა, უკეთ რომ გამეცნო იაპონია, მისი ისტორია, კულტურა და ტრადიციები.

– შემდეგ სწავლას აგრძელებ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ირჩევ საკმაოდ საინტერესო სპეციალობას – აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობის ექსპერტიზა (იაპონია)...

– დიახ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იაპონიის შესახებ წაკითხული მქონდა გარკვეული სახის ლიტერატურა და იმდენად განსხვავებულ სამყაროდ მეჩვენა, რომ გადავწყვიტე უკეთ შემესწავლა. აბიტურიენტობის პერიოდში გავარკვიე, რომ თსუ-ში ისწავლებოდა იაპონიის ისტორია, კულტურა და, რაც მთავარია, იაპონური ენა. ამიტომ გადავწყვიტე, სწავლა ამ სპეციალობაზე გამეგრძელებინა. პროფესიის დასახელება საშუალებას მაძლევდა, მიღებული ცოდნა მომავალში გამომეყენებინა როგორც სამეცნიერო საქმიანობაში, ასევე დიპლომატიურ სფეროშიც. ორივე სფერო ძალიან საინტერესოდ მეჩვენებოდა.

– უმაღლესი განათლების მისაღებად აღმოსავლეთ აზიის ქვეყანას, კუნძულ-სახელმწიფოს – იაპონიას ირჩევ. რა გზა გაიარე საქართველოდან ამომავალი მზის ქვეყნამდე?

– თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი მაგისტრატურის პირველ კურსზე (*მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორიის* სპეციალობაზე, შორეული აღმოსავლეთის ისტორიის განხრით). სწორედ მაშინ, იაპონიის სახელმწიფომ გამოაცხადა კონკურსი იაპონიაში მკვლევრების გრანტზე და გადავწყვიტე, ბედი მეცადა. სიმართლე გითხრათ, თავიდან ცოტა ვღელავდი, ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, დავძლევდი თუ არა კონკურსის პირობებს, რადგან ვთვლიდი, რომ იაპონური ენა სათანადო დონეზე არ ვიცოდი. მაგრამ წერითი გამოცდაც და გასაუბრების ეტაპებიც წარმატებით დავძლიე. თსუ-ში მიღებული იაპონური ენის ცოდნა საკმარისი აღმოჩნდა წარმატებისთვის და ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ მე ეს შევძელი. შემდეგ იყო მეორე და არანაკლებ რთული ეტაპი, თავად უნდა მომძებნინა სასურველი უნივერსიტეტი იაპონიაში და გამემართა მოლაპარაკებები, რომ მივეღე, როგორც მკვლევარი სტუდენტი. ასევე უნდა მომძებნა პროფესორი, ვინც ჩემი ხელმძღვანელი იქნებოდა. საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა. საბოლოოდ, ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ კობეს უნივერსიტეტთან წარმატებით დავასრულე მოლაპარაკება და თანხმობა მივიღე.

მკვლევრად ყოფნის პერიოდი, რომლის შემდეგაც მომიწია სამაგისტროს და სადოქტოროს მისაღები გამოცდების ჩაბარება, საკმაოდ რთული გამოდგა, საბედნიეროდ, ჩავაბარე. იაპონიაში ჩასვლამდე მეგონა, რომ, როგორც უცხოელ სტუდენტს, გამოცდებზე შეღავათი მექნებოდა, მაგრამ სპეციალობის გამოცდაზე მეც იმავე საკითხების წერა მომიწია, როგორც სხვა იაპონელ სტუდენტებს, განსხვავება მხოლოდ იაპონური ენის გამოცდაში იყო – უცხოელ სტუდენტებს ცოტა განსხვავებულ შეკითხვებზე მოგვიწია პასუხების გაცემა. აი, ასეთი გრძელი და არც თუ ადვილი გზა გავიარე იაპონიამდე და დოქტორანტურამდე.

– ამჟამად კობეს უნივერსიტეტის დოქტორანტი ხარ (სპეციალობა – იაპონიის ახალი ისტორია), მიამბე ამ უნივერსიტეტის შესახებ?

– იაპონიაში კობეს უნივერსიტეტი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და პრესტიჟულ უნივერსიტეტად ითვლება. მის სტუდენტად გახდომა მხოლოდ განსაკუთრებულად კარგი შედეგების მქონე აბიტურიენტებს შეუძლიათ. კობეს უნივერსიტეტი 1949 წელს დაარსდა. დღესდღეობით აქ 30 000 სტუდენტამდე სწავლობს. კურსდამთავრებულების მიერ კარგი სამსახურის პოვნის და საშუალო შემოსავლის მაჩვენებელის მიხედვით ერთ-ერთი მოწინავეა იაპონიაში. ეს უნივერსიტეტი ბევრ წარმატებულ ადამიანს აქვს დამთავრებული, მაგალითად, იაპონიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ სოსუკე უნოს. კობეს უნივერსიტეტის ყოფილი მკვლევარი იყო შინია იამანაკა, რომელმაც 2012 წელს ნობელის პრემია მიიღო მედიცინის დარგში. აქ განათლება აქვთ მიღებული, ასევე, მრავალი წარმატებული ბიზნეს-კორპორაციის მაღალი თანამდებობის პირებს და გამორჩეულ მეცნიერებს. უნივერსიტეტში გამორჩეულად ძლიერია იურიდიული და ეკონომიკური სპეციალობები.

– რა როლი უჭირავს სტუდენტის ცხოვრებაში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას?

– იაპონიაში ბიბლიოთეკა სტუდენტური ცხოვრების ერთ-ერთ მთავარი და აუცილებელია კომპონენტია. ყველა მაღალი დონის უნივერსიტეტი ცდილობს იქონიოს კარგი ბიბლიოთეკა. მარტო კობეს უნივერსიტეტს ცხრა შიდა საფაკულტეტო ბიბლიოთეკა (ზოგიერთი მათგანი რამდენიმე სართულზეა განთავსებული) აქვს, სადაც მილიონობით წიგნი ინახება. სისტემატურად ხდება ბიბლიოთეკების შევსება ახალი ლიტერატურით. შარშან, წიგნების განთავსების პრობლემის გამო ახალი ბიბლიოთეკის დამატების საკითხი წარმოიშვა. ასევე ხდება ძველი ჟურნალ-გაზეთების და წიგნების „გაციფრულებაც“, რომ სტუდენტს მასალასთან წვდომა გაუადვილდეს. ასევე მნიშვნელოვანია ძველი წიგნების ან ჟურნალ-გაზეთების, ხშირი ხმარების გამო, დაზიანებისგან დაცვა. არსებობს ელექტრონული ბიბლიოთეკებიც, შეგიძლია შეხვიდე ვებსაიტზე და წიგნის ციფრული ვარიანტი წაიკითხო და არ მოგიწიოს მაინცდამაინც, რომელიმე ქალაქში ბიბლიოთეკის გამო ჩასვლა. ერთი სიტყვით, აქ, ყველა საშუალებაა სტუდენტისთვის, რათა მან მაღალი დონის განათლება მიიღოს და პროფესორ-მასწავლებლებს მუდმივი წვდომა ჰქონდეთ სიახლეებთან.

– როგორ ფიქრობ, რით განსხვავდება და რიგ შემთხვევაში, რა უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს აღმოსავლეთ აზიის ქვეყანაში, კერძოდ იაპონიაში მიღებულ უმაღლეს განათლებას, ევროპულთან შედარებით? ასევე, რა უპირატესობა აქვს იაპონურ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით? რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ?

– სიმართლე გითხრათ, არ გამოვდგები განათლების ექსპერტად, რადგან კარგად არ ვიცნობ ევროპული განათლების სისტემას. მაგრამ, რა თქმა უნდა, იაპონიაში მიღებულ განათლებას ბევრი დადებით მხარე აქვს. მაგალითად, ბიზნესის, ეკონომიკის, მედიცინის, არქიტექტურის, ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის, IT ტექნოლოგიების, მანქანათმშენებლობის სფეროში თუ მიიღებთ განათლებას იაპონიაში, უდავოდ გამოსადეგია, რადგან ეს დარგები ძალიან განვითარებულია და მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციებს იკავებს.

რაც შეეხება ქართული და იაპონური უმაღლესი სასწავლებლების შედარებას, ვეცდები, თსუ-ს და კობეს უნივერსიტეტის მაგალითზე შევადარო. განსხვავება ძალიან დიდია და ყველაფერზე ვერ ვისაუბრებთ. მაგალითად, იაპონიაში მაგისტრანტები და დოქტორანტები პირველივე სემესტრიდან იწყებენ ძირითად კვლევაზე მუშაობას და სემესტრში, მინიმუმ, სამჯერ უწევთ სტუდენტების და პროფესორების წინაშე, ჩატარებულ კვლევაზე მოხსენების გაკეთება, შეკითხვებზე და კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემა. ეს ხელს უწყობს სტუდენტის, როგორც მკვლევრის, განვითარება-ჩამოყალიბებას და ასევე, კვლევის დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. თსუ-ში მკვლევარს მხოლოდ თემის დაცვის დროს უწევს საჯარო მოხსენების გაკეთება და შესაბამისად, დაშვებულ შეცდომებზე ვეღარ ასწრებს რეაგირებას.

იაპონიაში პროფესორები მუდმივად ჩართულები არიან კვლევის პროცესში და რეკომენდაციების მიცემით ცდილობენ სტუდენტის განვითარებას.

ლექციები ორი სახისაა: პირველი – როდესაც მხოლოდ ლექტორი კითხულობს ლექციას და მეორე – როდესაც სტუდენტები აკეთებენ სხვადასხვა თემებზე მოხსენებებს და შემდეგ განხილვაში ერთვება ლექტორი და სხვა სტუდენტები, სვამენ კითხვებს და იწყება მსჯელობა. განსაკუთრებით სასარგებლოა მეორე ტიპის ლექციები, რადგან სტუდენტს მსჯელობის, მკვლევრის, საკუთარი არგუმენტების დაცვის უნარებს უყალიბებს. სტუდენტებს უფრო მეტი თავისუფლება აქვთ საკუთარი სურვილით აირჩიონ სასურველი ლიტერატურა და საგანი ცოდნის მისაღებად.

ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ იაპონელი სტუდენტები სწავლობენ მხოლოდ იმისთვის, რომ მიიღონ ცოდნა და არა მაღალი ნიშნები. უნივერსიტეტში, თითოეულ მაგისტრანტს და დოქტორანტს, ჩვენთვის გამოყოფილ ოთახში გვაქვს ჩვენი მერხი და თაროები, ხოლო ბაკალავრ სტუდენტებს თავიანთი ოთახი აქვთ. ყველა ძალიან სერიოზულად უდგება სწავლას, სხედან თავიანთ ადგილებზე და მუდმივად რაღაცას კითხულობენ ან წერენ. იშვიათია შემთხვევა, როცა სხვა თემაზე საუბრობენ. ცდილობენ, ოთახში მყოფს საკუთარი ხმაურით ხელი არ შეუშალონ, ზოგიერთები ღამითაც რჩებიან სასწავლებლად. ძალიან ბეჯითები არიან და დიდი პასუხიმგებლობით გამოირჩევიან როგორც საქმის, ასევე საკუთარი მომავალი ცხოვრებისადმი.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? როგორ ცხოვრობენ იაპონელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– სწავლას ბევრი დრო სჭირდება და თავისუფალი დრო არცთუ ისე ბევრი მაქვს. თუმცა, როცა ამის საშუალება მეძლევა, მეგობრებთან ერთად მივდივარ გასართობად. როცა ვახერხებ, იაპონიის სხვადასხვა ადგილების მოსანახულებლად დავდივარ.

იაპონელი ახალგაზრდების პრიორიტეტები განსხვავებულია, ზოგი სწავლას ანიჭებს უპირატესობას და უნდა, სამეცნიერო კუთხით განვითარდეს, ზოგს კარიერის შექმნა და მსხვილ კომპანიებში დასაქმება სურს, ამიტომ ბაკალვრიატის დასრულებისთანავე იწყებს მუშაობას. ზოგი თავისუფალი ცხოვრების სტილს ირჩევს. თითქმის ყველა ახალგაზრდა ცდილობს, საკუთარი შემოსავალი სტუდენტობიდანვე იქონიოს და სწავლასთან ერთად, სადმე მუშაობს (მრეცხავად, მიმტანად და ა.შ.), არც ერთ სამუშაოს არ თვლიან სათაკილოდ. ვისაც შეძლებული ოჯახი ჰყავს და ფინანსურად ეხმარება, მიღებულ შემოსავალს მსოფლიოში სამოგზაუროდ იყენებენ თუ არადა, ყოველდღიური ხარჯების დასაფარად. ვიცნობ რამდენიმე სტუდენტს, რომლებიც დღისით უნივერსიტეტში არიან, შემდეგ კი გვიან ღამემდე მუშაობენ, რათა სწავლის გადასახადი თავად შეაგროვონ. თავისუფალ დროს, მეგობრებთან ერთად, გასართობად ბარებში დადიან. ასევე ცდილობენ, იყვნენ დაკავებული სპორტით ან გაწევრიანებულები რომელიმე თემატურ კლუბში.

– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა და, მიუხედავად 5-წლიანი ცხოვრებისა იაპონიაში, დღემდე არ შემიცვლია გადაწყვეტილება – მინდა საქართველოში დავბრუნდე. ვფიქრობ, ჩემი ცოდნა ცოტათი მაინც დაეხმარება ქვეყანას განვითარებაში. არ ვთვლი, რომ ჩემს დასაქმებაში მხოლოდ უცხოური დიპლომი ითამაშებს გადამწყვეტ როლს, რადგან საქართველოში განათლებამიღებულებსაც საკმაოდ კარგი ცოდნა აქვთ. ვეცდები, საკუთარი ცოდნით და შრომისმოყვარეობით დავამტკიცო, რომ ნორმალურ სამსახურს ვიმსახურებ. საერთოდ არასწორად მიმაჩნია მსგავსი მიდგომა – უცხოეთში მიღებულ დიპლომს, უპირობოდ, საქართველოში მიღებულ დიპლომზე მაღლა რომ აყენებენ. უცხოეთში მიღებული დიპლომი ყოველთვის არ ნიშნავს კარგ ცოდნას, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი საკმაოდ დაბალი დონის სასწავლებელში იღებს განათლებას. რა თქმა უნდა, უცხოეთში მიღებული ცოდნა, ხშირ შემთხვევაში, ბევრად სჯობს საქართველოში მიღებულ განათლებას, მაგრამ ბევრად უკეთესი იქნება სამსახურში აყვანა ხდებოდეს ტესტირებებით და კონკურსებით, სადაც მთავარი იქნება ცოდნა და არა დიპლომი. გარდა ამისა, უცხოეთში მიღებული დიპლომის წინ დაყენებით, საქართველოს უმაღლესი სას-

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

წავლებლების სტუდენტებს სწავლის სურვილს ვუქვეითებთ, რადგან მათ უჩნდებათ განცდა, რომ საქართველოში მიღებული ცოდნა ვერ გაუწევს კონკურენციას უცხოეთში მიღებულ ცოდნას. მსგავსი მიდგომა არასწორია და ამით, ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ, ქართულ განათლების სიტემას კიდევ უფრო ვამძიმებთ.

– დღეს, საქართველოში, ძალზე პოპულარულია უმაღლესი განათლების საზღვარგარეთ მიღება. რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ

– დაგეთანხმებით, რომ სულ უფრო პოპულარული ხდება უცხოეთში განათლების მიღება. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია, რადგან უცხოეთში მიღებული განათლება ეხმარება ადამიანს ჩამოყალიბდეს უკეთეს სპეციალისტად, მიიღოს ახალი ცხოვრებისეული გამოცდილება, გაეცნოს განსხვავებულ კულტურას და საქმისადმი მიდგომას, ხოლო ქვეყანაში დაბრუნებულმა შეძლოს საკუთარი ცოდნის გამოყენება. მიმაჩნია, რომ არ უნდა გვეშინოდეს ყოველივე უცხოურის ქვეყანაში შემოტანის. ღია უნდა ვიყოთ წარმატებული უცხოური გამოცდილებების საქართველოში დანერგვისთვის, ეს ქვეყანას განვითარებაში დაეხმარება. უცხოეთში განათლებამიღებულები სწორედ ამაში გამოადგება ქვეყანას. ამიტომ უდავოდ დადებითია მსგავსი ტენდენციის გაჩენა, თან, მეორე მხრივ, ახალგაზრდას უჩენს მოტივაციას, უკეთ ისწავლოს, რათა მერე უცხოეთში სასწავლებლად წასვლა შეძლოს.

რაც შეეხება რჩევას, პირველ რიგში, ვურჩევდი, არ იჩქარონ უცხოეთში სასწავლებლად გამგზავრება მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოეთში უნდათ სწავლა. არ აირჩიონ ე.წ. პრესტიჟული სპეციალობა მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად ჟღერს. სჯობს, კარგად ჩამოყალიბდნენ, რას უნდათ მიაღწიონ, რა შეუძლიათ, რომელი სპეციალობითაა შედარებით ადვილი სამსახურის შოვნა ან რა სპეციალობებზეა ქვეყანაში მოთხოვნა. როგორც ვაკვირდები, უცხოეთში სასწავლებლად წასულების დიდი ნაწილი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობას ეუფლება, რაზეც, რეალურად, საქართველოში ნაკლები მოთხოვნაა და შესაბამისად, ქვეყანაში დაბრუნებულებს სამსახურის პოვნა უჭირთ. ბევრად უკეთესი იქნება, თუ ქვეყანაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად აირჩევენ სპეციალობას. უცხოეთში წასვლამდე კი, ეცადონ კარგად შეისწავლონ იმ ქვეყნის ენა, სადაც სასწავლებლად მიემგზავრები, ეს ცოდნის უკეთ მიღებაში დაეხმარებათ.

ჩემი აზრით, უმჯობესია ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტონ უცხოეთში სწავლა, რადგან უფრო მეტად იქნებიან საკუთარ სურვილებსა და შესაძლებლობებში გარკვეულები. უცხოეთში ჩასულებს კი, არ დაავიწყდეთ, რომ ქართველები არიან, საკუთარი ქვეყნის სახეს წარმოადგენენ და შეეცადონ, საქართველოს და ქართული კულტურის პოპულარიზაციას შეუწყონ ხელი. ყურადღებით ათვალიერონ გარემო და შეისწავლონ ის დადებითი მხარეები, რისი საქართველოში დანერგვაც ჩვენს ქვეყანას სარგებელს მოუტანს. არ ჩათვალონ, რომ მათი მისია მხოლოდ პირადი მიზნების მისაღწევად განათლების მიღებაა. ცოდნის მიღებასთან ერთად, მუდმივად იფიქრონ, რაში შეუძლიათ, დახმარება გაუწიონ ქვეყანას მიღებული გამოცდილებითა და შეძენილი კავშირების მეშვეობით. მჯერა, სულ რამდენიმე წელიწადში, საქართველოს სასიკეთოდ გარდაქმნას სწორედ ის თაობა და ის ხალხი დაიწყებს, ვისაც განათლება უცხოეთში აქვს მიღებული. ქვეყანა გამოვა იმ მოჯადოებული წრიდან, სადაც ბოლო 25 წელიწადია ვტრიალებთ და ჯერ კიდევ ვერ დავაღწიეთ თავი. საქართველოს სჭირდება ახალი იდეები, ახალი სახეები, ახლებური განვითარება და ამიტომ მჯერა, რომ საქართველოს მომავალი მათ ხელში იქნება. მაქსიმალურად დიდი პასუხიმგებლობით უნდა მოეკიდონ სწავლას და ჩამოყალიბდნენ თავიანთი საქმის პროფესიონალებად. ეს მათაც გამოადგებათ და საქართველოსაც.

– ღირებულებათა იერარქიაში განათლებას იაპონელებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. სწორედ განათლების მაღალი დონის დამსახურებაა, ამომავალი მზის ქვეყანამ ძალზე მოკლე ხანში, უდიდეს წარმატებას და პროგრესს რომ მიაღწია. ამიტომ განათლებისადმი სწრაფვას უფროსი თაობა ბავშვებს მცირე ასაკიდანვე უვითარებს. იაპონიის განათლების სისტემის მთავარი ამოცანა არაორდინარული და აქტიური პიროვნების აღზრდაა. შენ როგორ აფასებ იაპონურ განათლების სისტემას?

– იაპონელები, ჯერ კიდევ მეიჯის რესტავრაციის (1867წ) მერე, კარგად მიხვდნენ, რომ ქვეყნის განვითარება განათლების გარეშე შეუძლებელი იყო და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ამ სფეროს. განათლების და დასავლური გამოცდილების მისაღებად ევროპაში აგზავნიდნენ ახალგაზრდებს, დასავლეთიდან იწვევდნენ რეფორმატორებსა და მეცნიერებს. ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში დაიწყეს საყოველთაო განათლების მიღებისთვის სკოლების გახსნა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც, აშშ-ს დახმარებით და მითითებით, გატარდა განათლების რეფორმები, შეიცვალა სასკოლო სისტემა, სახელმძღვანელოები და ა.შ. მსგავსმა დამოკიდებულებამ თითქმის ყველა სფეროში მოიტანა შედეგები. სასკოლო განათლებას თუ გადავხედავთ, ჩემთვის ძალიან საინტერესოდ ჩანს მორალის გაკვეთილები, რომელიც პირველი კლასიდან იწყება და რამდენიმე წელი გრძელდება. ეს არის ყველა მომამავალი წარმატების საფუძველი. მორალის გაკვეთილები ბავშვებს პიროვნებებად და პასუხისმგებლიან მოქალაქებად ჩამოყალიბებაში ეხმარებათ. პატარა მოთხრობების მაგალითზე, ასწავლიან მოსწავლეებს, რომ არ უნდა დაანაგვიანონ გარემო, საკუთარი საქმე მხოლოდ თვითონ უნდა გააკეთონ და არ ეცადონ ხრიკებით თავის არიდებას, არ უნდა დაჩაგრონ სხვა და ა.შ. ასევე, ცდილობენ ბავშვობიდანვე ჩაუნერგონ გუნდური მუშაობის პრინციპები. სხვადასხვა სახელმძღავანელოებს მაქსიმალურად ყურადღებით ქმნიან, რათა ბავშვმა კარგად აითვისოს მასალა. მშობელიც და სკოლაც ცდილობს, მოსწავლეები მუდმივად დაკავებულები იყვნენ სწავლით ან სპორტით და თავისუფალი დრო ნაკლებად დარჩეთ. ეს ბავშვებს დაძაბულ და დატვირთულ რეჟიმში ცხოვრებას აჩვევს და როდესაც იზრდებიან, ნაკლებად უჭირთ დაძაბულ რიტმთან შეგუება. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, მუდმივად ატარებს კვლევებს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და ხარვეზების გამოსასწორებლად განათლების სისტემაში მცირე რეფორმებს მიმართავენ. მაგალითად, ბოლო კვლევების შედეგად, დაადგინეს, რომ იაპონიას მსოფლიოში ეკონომიკური დომინირებისთვის ინგლისური ენის კარგად მცოდნე იაპონელები ესაჭიროება, ინგლისური ენის სწავლების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი და ახლა ამ ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობენ. სახელმწიფო ცდილობს, ქვეყნის ინტერესებს მოარგოს განათლება. მათ კარგად იციან, რომ ქვეყნის წარმატების საფუძველი განათლებაშია.

– რა შეიძლება გავითვალისწინოთ იაპონური განათლების სისტემის გამოცდილებიდან, რა არის ის, რისი დანერგვაც ღირს ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში?

– ასე მოკლედ რთულია იმის თქმა, თუ რისი დანერგვა ღირს საქართველოში, რადგან კომპლექსური საკითხია, ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი, თან ეს ჩვენს ხასიათს და არსებულ რეალობასაც უნდა ეწყობოდეს. მაგალითად, სამაგისტრო და სადოქტორო სისტემები რომ მოარგო საქართველოს, ამისთვის, მინიმუმ, საჭიროა მდიდარი ბიბლიოთეკების არსებობა, ბევრი ლიტერატურა უნდა იყოს ქართულად ნათარგმნი, რაც საქართველოში, ჯერჯერობით, ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება. ვიდრე ეს არ მოგვარდება განათლების სფეროში წინსვლა ძალიან რთული იქნება. მუდმივად უნდა ხდებოდეს ახლად გამოსული ლიტერატურის თარგმნა და ახალი წიგნების მიწოდება ბიბლიოთეკებისთვის, რათა სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეეძლოთ სიახლეების გაცნობა. თუმცა, შეგვიძლია გარკვეული ელემენტების დანერგვა, რასაც მატერიალური რესურსი არ სჭირდება. მაგალითად, საქმისადმი ისეთივე პასუხისმგებლობით მიდგომა, როგორც იაპონურ უმაღლეს სასწავლებლებშია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სწავლებისთვის რთული პირობებია, არსებული რესურსების ნახევრის გამოყენებაც არ ხდება. ეს ეხება პროფესორებსაც და სტუდენტებსაც.

გარდა ამისა, ჩემი აზრით, გარკვეულ დონეზე, შესაძლებელია სამაგისტრო და სადოქტორო თემებზე მოხსენებების ყოველსემესტრულად მომზადება და სტუდენტებისა და პროფესორების წინაშე განხილვის დანერგვა. კარგი იქნება, ასევე, მკვლევარ სტუდენტებს თუ გამოუყოფენ ცალკე სამუშაო ოთახს, სადაც თითოეულ მათგანს საკუთარი მერხი ექნება. ეს საშუალებას მისცემს, მშვიდად იმუშაონ საკვლევ თემაზე. ბევრისგან გამიგია, რომ შინ უჭირთ მეცადინეობა, რადგან ოჯახში არ აქვთ საკმარისი ფართი, საკუთარი ოთახი და ხმაურის გამო რიგიანად სწავლას ვერ ახერხებენ.

– როგორია იაპონელი ხალხის ყოფა-ცხოვრება, შენი დამოკიდებულება და შთაბეჭდილებები აღმოსავლური ქვეყნის კულტურის, ტრადიციების მიმართ, განსაკუთრებით რას გამოყოფდი, როგორია, თუნდაც, იაპონური გაზაფხული? ამბობენ, რომ, განსაკუთრებულია.

– იაპონია მართლაც განსხვავებული კულტურის ქვეყანაა. რთული გასამიჯნია, რა უფრო მეტად იწვევს ჩემში აღფრთოვანებას – კულტურა თუ ხალხი. კულტურა იმდენად მრავალფეროვანია, რომ ამას ერთი გაზეთიც არ ეყოფა, ამიტომ, სჯობს ხალხზე ვისაუბრო. იაპონელებში ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ ძალიან პასუხისმგებლიანი ერია, დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის მაქსიმალურად ასრულებენ, ძალიან შრომისმოყვარენი არიან, დღეში 10-12 საათი მუშაობენ. არსებობს ტერმინი „კაროში“, რაც გადამეტებული მუშაობის შედეგად სიკვდილს ნიშნავს, დიახ, არც თუ ისე იშვიათია გადამეტებული მუშაობისგან გარდაცვალების შემთხვევები.

იაპონელი მუშაობაში ძალიან შეუპოვარია. მიაჩნია, რომ, თუ სხვას შეუძლია გააკეთოს რამე, ე.ი. მასაც შეუძლია იგივე, ხოლო თუ სხვას არ შეუძლია, მაშინ მან უნდა შეძლოს! სამსახურის მიმართ დიდი ერთგულებით და მუყაითობით გამოირჩევიან. მიაჩნიათ, რომ საკუთარი სიზარმაცით კომპანიას პრობლემა არ უნდა შეუქმნან, თან, თუ კომპანია წარმატებული არ იქნება, შეიძლება სამსახურიც დაკარგონ. ამიტომ ენერგიულად მუშაობენ. ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ და ყოველთვის თავაზიანად მიმართავენ, ცდილობენ საკუთარი სიამოვნების გამო, სხვა არ შეაწუხონ. ღამით არ ხმაურობენ და არც ტრანსპორტში უსმენენ ხმამაღლა მუსიკას, რათა ყურთასასმენებიდან გამოსულმა მცირე ხმამ გვერდით მჯდომს დისკომფორტი არ შეუქმნას. არ ანაგვიანებენ გარემოს, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩებში ნაგვის ურნები არ დგას, ძირს დაგდებულ ნაგავს იშვიათად წააწყდებით. რამდენჯერმე მინახავს, ქუჩაში შემთხვევით დავარდნილი მცირე ნაგავი გამვლელს წაუღია გადასაგდებად ან კუთხეში გადაუდია. ძალიან პატიოსანი ხალხია და ნაკლებად ცდილობენ სხვისი მოტყუების ხარჯზე სარგებლის მიღებას. ეს დიდ სირცხვილად მიაჩნიათ. არ არიან კონფლიქტურები. უყვართ გარემოზე ზრუნვა და თითოეულ ხეს, ბუჩქს და ყვავილს სათუთად უვლიან. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად მომავლისკენ ისწრაფვიან და უცხოური კულტურაც ძალიან აინტერესებთ, არ ივიწყებენ საკუთარ წარსულს და ტრადიციებს, რომელსაც უდიდეს პატივს სცემენ. იაპონელების ეს თვისებები ძალიან მომწონს და არ იქნებოდა ურიგო მათი გადმოტანა საქართველოში.

რაც შეეხება იაპონურ გაზაფხულს, იაპონური ალუბლის, იმავე საკურას ყვავილობას, მართლაც ერთ-ერთი მშვენიერი პერიოდია იაპონიაში. წარმოიდგინეთ, უამრავი საკურა ერთდროულად ყვავის და ულამაზეს სანახაობას ქმნის. განსაკუთრებით ლამაზია პარკები, სადაც სპეციალურად მიდიან ოჯახები, მეგობრები ან წყვილები საკურას საყურებლად და პიკნიკისთვის. ასევე ულამაზესი სანახავია ღამით, მთვარის შუქით განათებული აყვავებული საკურა.

– რუბრიკის „ქართველი სტუდებნტები უცხოეთში“ სტუმრები, ძირითადად, ევროპის მოწინავე უმაღლესი სასწალებლების სტუდენტები არიან. შესაბამისად, მათი მისწრაფება ევროპისადმი განუსაზღვრელია, შენ სასწავლებლად აღმოსავლეთი აირჩიე და უკვე კარგად იცნობ აზიურ კულტურას. შენი გადასახედიდან, რომელია ჩვენთვის მისაღები – ევროპა თუ აზია?

– ვფიქრობ, აქ სხვა პასუხი არც არსებობს, უპირობოდ – ევროპა! ევროპულ ღირებულებებს არ აქვს ალტერნატივა და ჩვენს მენტალიტეტთან ბევრად უფრო ახლოსაა, ვიდრე აზიური. სამწუხაროა, რომ ეს შეკითხვა ჯერ კიდევ არსებობს, ალბათ, იმით არის განპირობებული, რომ ანტიევროპული მცირე ჯგუფები ცდილობენ, ევროპაში არსებული

ნაკლოვანებებით ხალხში ევროპისადმი შიში დანერგონ. რეალურად კი ევროპაში ძალიან ბევრი სიკეთეა, რომელიც ჩვენ ქვეყანასაც დაეხმარება, ხალხსაც და კულტურასაც. ჩვენ ევროპიდან უნდა გადმოვიღოთ ის, რაც კარგია ქვეყნისთვის და შევუხამოთ ქართულ ტრადიციებს, კულტურას და ხასიათს. ჩემი აზრით, ყველაფრის უპირობოდ კოპირებაც არ მოგვიტანს დიდ სარგებელს.

– როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც იაპონიაში გატარებულმა პერიოდმა მოგცა?

– ევროპამ უკვე მიგვიღო. ჩვენ ისედაც ვიყავით და ვართ ევროპა. ევროპა ისეთს არაფერს გვთხოვს, რაც ჩვენს იდენტობას და ჩვენს სურვილებს ეწინააღმდეგება (როგორც ზოგიერთები ცდილობენ წარმოაჩინონ). არ ითხოვენ ჩვენი ღირებულების გადაფასებას და არავინ გვთხოვს, მაგალითად, დავემსგავსოთ გერმანიას. ჩემი გადმოსახედიდან, თავად ევროპაც არ არის ერთფეროვანი, მაგალითად, ნორვეგია-საფრანგეთი-იტალია – სამივე ევროპული ქვეყანაა, მაგრამ ძალიან განსხვავებულები. ისინი გვთხოვენ, რომ ყველა ადამიანის უფლებები იყოს თანაბრად და უმაღლეს დონეზე დაცული, კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს, გვქონდეს კვებითი პროდუქტების ვარგისიანობის და უსაფრთხოების დაცვის მაღალი სტანდარტები, დავიცვათ ეკოლოგია და ა.შ. არა მგონია, ამ სასარგებლო მოთხოვნებმა ზიანი მოგვიტანოს ჩვენ ან ჩვენს ღირებულებებს.

რაც შეეხება ღირებულების გადაფასებას, აქ ევროპა არაფერ შუაშია, ჩვენ თვითონ გვჭირდება, რომ შევიცვალოთ ზოგიერთი რამ. თუმცა, ეს ალბათ ჩვევებია, ვიდრე ღირებულებები. მაგალითად, უნდა შევიგნოთ, რომ სახელმწიფო ქონება ჩვენი საკუთარი ქონებაა და, მაგალითად, ტრანსპორტში ინვენტარი არ უნდა დავაზიანოთ. ყველაფერში დახმარებისთვის სახელმწიფოს არ უნდა შევყურებდეთ და საკუთარ პრობლემებს თავად უნდა ვაგვარებდეთ. დღეს ღატაკიც, მომღერალიც, ბიზნესმენიც და გლეხიც სახელმწიფოსგან ითხოვს დახმარებას და თავად ნაკლებად ცდილობს, პირადად იპოვოს გამოსავალი. ის, რომ ქუჩაში და ბუნებაში საქეიფოდ გასვლის მერე ნაგავი არ უნდა დავყაროთ, სხვის ინტერესებსაც რომ უნდა ვცეთ პატივი და ვაკეთოთ ის, რაც სხვებს დისკომფორტს უქმნის – ევროპასთან ინტეგრაციას კი არა, ჩვენ გვჭირდება – ხალხსაც და ქვეყანასაც – განვითარებისთვის.

რაც შეეხება შეკითხვას, იაპონიაში გატარებულმა პერიოდმა რა მომცა ღირებული და მნიშვნელოვანი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საკითხს ახლებურად შევხედე, ამჯერად მხოლოდ ორს გამოვყოფ – თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, უნდა იყო შრომისმოყვარე და გაგაჩნდეს პასუხიმგებლობის დიდი გრძნობა. ამ საკითხების მნიშვნელობა იაპონიაში განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

პედაგოგთა დასახმარებლად

მაკა ნადარეიშვილი

ფრანგული ენა

კარაოკე

ძვირფასო კოლეგებო, დაპირებისამებრ ვაგრძელებთ ინტერნეტსივრცეში არსებული რესურსების გამოყენებასა და კომპიუტერული ტექნიკის დახმარებით გაკვეთილების დაგეგმვას. დღეს შემოგთავაზებთ კარაოკეს დახმარებით ერთ საინტერესო აქტივობას.

რესურსს ჩვენთვის კარგად ნაცნობი ინტერნეტგვერდიდან გამოვიყენებთ – http://www.bonjourdefrance.com/ და გეტყვით, რომ ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია აქ განთავსებული მასალით სარგებლობა გაკვეთილზე. უფრო მეტიც, 26 მაისს, ინტერნეტგვერდის ადმინისტრაციამ, ამავე გვერდის თანამშრომლების დახმარებით, მოამზადა საქართველოსთვის მიძღვნილი ნომერი, სადაც სხვადასხვა საფეხურის სავარჯიშოები უშუალოდ ქართულ რეალობას იყო მორგებული.

ახლა, რაც შეეხება ჩვენს გაკვეთილს. ამჯერად, მოდით, არჩევანი შევაჩეროთ ცნობილ ფრანგ მომღერალ ქალზე – ამელ ბენტზე (Amel Bent), მის ცნობილ სიმღერაზე „ჩემი ფილოსოფია“ – „ma philosophie“.

ენობრივი ცოდნის თვალსაზრისით სასურველია ენის ცოდნის A2 -ის დონე. მუშაობას, თავდაპირველად, ჩვენთვის ცნობილი მეთოდის საშუალებით დავიწყებთ – ეს იქნება ბარათების მეთოდი.

მიმდინარეობა:

პირველი აქტივობა

მიზანი: ზეპირმეტყველების განვითარება. ლექსიკურ ერთეულზე მუშაობა

დაურიგეთ წყვილებში მოსწავლეებს თითო-თითო ბარათი და სთხოვეთ, იპოვონ ხაზგასმული სიტყვების საწინააღმდეგო (ანტონიმი) სიტყვა, შედეგ კი წყვილებმა კლასში განიხილონ საკუთარი ვერსია (ასეთივე აქტივობა განახორციელეთ სათითაოდ სამივე ბარათზე).

carte 1

Dites le contraire

1. baisser la tête

.....

2. plus bas

.....

carte 2

Dites le contraire

1. plus près

.....

2. réchauffer le coeur

.....

carte 3

Dites le contraire

1. Avec la force et le sourire

.....

2. Je pars le point baissé

.....

მეორე აქტივობა

მიზანი: ზეპირმეტყველების განვითარება, ლექსიკურ ერთეულზე მუშაობა

დაურიგეთ წყვილებში მოსწავლეებს თითო-თითო ბარათი და სთხოვეთ, ჯერ ერთმანეთში, შედეგ კი კლასში განმარტონ საკუთარი სიტყვებით, თუ რას ნიშნავს კონკრეტული ფრაზა.

(ასეთივე აქტივობა განახორციელეთ სათითაოდ სამივე ბარათზე).

carte 1

Expliquez

1. Avancer le cœur léger

.....

2. Bomber le torse

.....

carte 2

Expliquez

1. Visez la lune

.....

2. Avoir les formes et les rondeurs

.....

carte 3

Expliquez

1. Apprendre à être fier

.....

2. Rester le poing levé

.....

მესამე აქტივობა

მიზანი: ზეპირმეტყველების განვითარება, მსჯელობა, დასაბუთება

სთხოვეთ მოსწავლეებს, დაახასიათონ ადამიანი, რომელიც ცხოვრების დევიზად იყენებს შემდეგ ფრაზებს – „**Visez la lune**“ , „**Rester le poing levé**“, „**Je n'ai qu'une philosophie Être acceptée comme je suis**“.

ზეპირი დახასიათების შემდეგ შეავსონ ცხრილი:

qualité	défaut

მეოთხე აქტივობა

მიზანი: მოსმენა (აუდიოტექსტის გაგება)

სთხოვეთ მოსწავლეებს, შევიდნენ შემდეგ ბმულზე, ამოირჩიონ თქვენ მიერ მითითებული ენის ფლობის დონე, მოუსმინონ სიმღერას და, პარალელურად, შეავსონ გამოტოვებული სიტყვები: http://www.bonjourdefrance.com/karaoke-fle/index.php/fr/play/ma-philosophie.html

სავარჯიშოს შესრულების შემდეგ, შესაძლებელია, მასწავლებელმა გამართოს დისკუსია ან დამოუკიდებელ სამუშაოდ მისცეს შემდეგი დავალება:

ხაზი გაუსვან სიმღერის ტექსტიდან ამონარიდ შემდეგ ფრაზებს და სთხოვოს, მოიყვანონ ამ ფრაზების მაგალითი რეალური ცხოვრებიდან:

1. « La vie ne m'en laisse pas le choix » :
……
……
……
……
……
……
2. « Sans cesse redoubler d'efforts »
……
……
……
……
……

ინფორმაცია

ლიტერატურული პრემია „ამირანის“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა

მეექვსე საავტორო სკოლაში ლიტერატურული პრემია „ამირანის“ დაჯილდოების პირველი საზეიმო ცერემონია გაიმართა. კონკურსის მიზანია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და მათი პიროვნული და შემოქმედებითი წინსვლის მხარდაჭერა. VII-XII კლასების მოსწავლეების ნამუშევრები სამ ნომინაციაში შეფასდა: „საუკეთესო პოეტური ნაწარმოები“, „საუკეთესო პროზაული ნაწარმოები“ და „საუკეთესო თარგმანი“. სულ 29 ფინალისტი გამოვლინდა. კონკურსში 600-ზე მეტი ავტორის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი საქართველოს ყველა რეგიონიდან, მათ შორის, აფხაზეთიდან.

მეექვსე საავტორო სკოლის ინიციატივით, დაარსდა ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, მეექვსე საავტორო სკოლის დამფუძნებლისა და პედაგოგის **პაკო (ამირან) სვიმონიშვილის** სახელობის ლიტერატურული პრემია „ამირანი“. ამირან სვიმონიშვილი 2014 წელს 40 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მოსწავლეთა ნამუშევრები კომპეტენტურმა ჟიურიმ სრული ანონიმურობის დაცვით განიხილა. ჟიურის წევრები იყვნენ: მწერალი და დრამატურგი **ლაშა თაბუკაშვილი**, პოეტი **გაგა ნახუცრიშვილი**, პოეტი და მთარგმნელი **ანდრო ბუაჩიძე**, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ექსპერტი **ნინო გორდელაძე**, ჟურნალისტი **ეკა ტალახაძე**.

კონკურსის ფინალისტები და, ასევე, საუკეთესო ნაწარმოებების ავტორების ნაშრომები დაიბეჭდება და ალმანახის სახით გამოიცემა. კონკურსი 2014 წლის ოქტომბერში გამოცხადდა. ორგანიზატორებმა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები, მონაწილეებს მიანოდეს ინფორმაცია კონკურსის პირობებისა და ვადების შესახებ.

სამეცნიერო-საინოვაციო კონკურსის ფინალური ტური

სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ სკოლის მოსწავლე გოგონების სამეცნიერო-საინოვაციო კონკურსის ფინალური ტური გაიმართა. 20-მა ფინალისტმა გოგონამ საინოვაციო პროექტი წარმოადგინა. მათგან გამარჯვებული პროექტები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა და პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

პროექტი, აშშ-ს საელჩოს დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდთან (GRDF), აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდთან (CRDF Global), ამერიკის ვაჭრობის პალატასთან და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ თანამშრომლობით განხორციელდა.

პროგრამის მიზანი იყო: მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის და მათემატიკის (STEM) სფეროში ქალების წამყვანი როლის წახალისება; გოგონების დაინტერესება სკოლის შემდგომი საუნივერსიტეტო სწავლისას აირჩიონ STEM მიმართულებები. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **გიორგი შარვაშიძე** და ამერიკის ელჩი საქართველოში **რიჩარდ ნორლანდი** დაესწრნენ.

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა როლის ზრდა საზოგადოებაში. უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოსწავლეების ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში, განსაკუთრებით კი, გოგონების დაინტერესება ტექნიკური მიმართულებით და ამ სფეროში მათ მიერ პროფესიული არჩევანის გაკეთება,“ – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

სასკოლო აქტივობა

ერთობლივი მუშაობის შედეგი

1 ივნისს, თბილისის 131-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საბავშვო სპექტაკლი „კომბლე“ წარმოადგინეს. მონაწილეთა შორის, თანატოლებთან ერთად, იყვნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (სსსმ/შშმ) მოსწავლეები და მათი მშობლები. სპექტაკლის დადგმაზე მუშაობდნენ სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და სპეციალური პედაგოგები – **გულნარა ხატიპოვა**, **მეგი ხუნაშვილი** და **თამარ მაჭარაშვილი**. მუსიკალური ხელმძღვანელი იყო 131-ე სკოლის პედაგოგი **ნანა ლომსაძე**, სცენარი ეკუთვნის ამავე სკოლის პედაგოგს **ნანა ბებიას.**

ღონისძიება ჩატარდა სკოლის დირექტორის, **ხათუნა ენუქიძისა** და სასწავლო ნაწილის გამგის, **მეგი როსტიაშვილის** მხარდაჭერით. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თბილისის სომხურ დრამატულ თეატრს და ქალბატონ **მანანა კარაპეტიანს** დახმარებისთვის.

სპექტაკლს ესწრებოდა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორი **მათე ტაკიძე** და კოლეჯის ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ასისტენტი – **ლალი ხვედელიძე**. აგრეთვე, თბილისის 49-ე და 124-ე საჯარო სკოლების დირექტორები – **ეკატერინე ცაავა** და **მადონა მუმლაძე**, სპეციალური მასწავლებლები – **რუსუდან ხოშარაული** და **მარიკა მაღლაკელიძე**.

აღსანიშნავია, რომ სპექტაკლის წარმატება მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლის ადმინისტრაციისა და მშობლების ერთობლივი მუშაობის შედეგია. კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და სსსმ/შშმ მოსწავლეების ჩართულობის შესაძლებლობა სასკოლო ღონისძიებებში.

მეგი ხუნაშვილი
სპეცმასწავლებელი

ინფორმაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

აფხაზეთის ა/რ მთავრობის, უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო აქცია „საქართველოვ, გულო ჩემო“ საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელობის მემორიალიდან დაიწყეს. აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდებმა ძეგლი გვირგვინებით შეამკეს.

შეკრებილებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს და დღესასწაული მიულოცეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, **ვახტანგ ყოლბაიამ**, **მარინა შენგელიამ**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურის სამმართველოს უფროსმა **კახა ძაძამიამ** და სხვებმა.

აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „სხვა საქართველო სად არი“ და აკაპელით შეასრულეს საქართველოს ჰიმნი „ჩემი ხატია სამშობლო“.

კოლონამ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ზემო სვანეთის, აფხაზეთის №2, №3 საჯარო სკოლებისა და კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში მცხოვრები მოზარდები, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრები, აფხაზეთის სტუდენტი ახალგაზრდობა, ინტელიგენცია, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საგანმანათლებლო სამსახურისა და სსიპ კინოცენტრ „აფხაზეთის“ წარმომადგენლები, საქართველოს დროშებითა და ტრანსფარანტებით, საზეიმო, მშვიდობიანი მსვლელობით გაიარა რუსთაველის გამზირი (თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის მეტრომდე). მათ დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, თბილისის მერს **დავით ნარმანიას** და სხვებს.

პროექტის დასკვნითი ნაწილი საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა, სადაც ზეიმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას.

საქართველოს უახლესი წარსულის მოვლენები გაიხსენეს და მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა **ჯემალ გამახარიამ**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ **როლანდ ნიჟარაძემ**, განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლებმა – **დოდო შონიამ** და **ნონა ბერაიამ**, ღონისძიების წამყვანმა, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტმა **სოფიკო ქვარცხავამ**, პროექტის საპატიო სტუმარმა – საფრანგეთის ქართული დიასპორის შთამომავალმა, ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელმა **ოთარ პატარიძემ**, მერაბ კოსტავას ქალიშვილმა **თამთა კოსტავამ**. სრულიად საქართველო დალოცა კრწანისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა **მოსე ჭელიძემ**.

აფხაზეთის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა საზეიმო კონცერტი და მხატვრული ნამუშევრების გამოფენა თემაზე „დაბრუნებამდე“.

ღონისძიების დასასრულს, მერაბ კოსტავას მუზეუმის დირექტორმა **ციცინო მაღლაფერიძემ** მადლობა გადაუხადა აქციის მონაწილეებს აქტიური ჩართულობისთვის, აფხაზეთელ მოზარდებს კი, მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, საზეიმოდ გადასცა მერაბ კოსტავას სახელობის სპეციალური დიპლომები.

იზონერა ბერაია
აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომელი

26 მაისი

სასკოლო აქტივობა

კლუბური მუშაობის როლი სამოქალაქო განათლების სწავლებაში

2014 წლის ნოემბერში თბილისის №186 საჯარო სკოლა ჩაერთო პროგრამაში „მომავლის თაობა“, რომელიც ხორციელდება PH international-ის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. სკოლაში შეიქმნა კლუბი, რომელშიც, თავდაპირველად, 15 მოსწავლე გაერთიანდა. აირჩიეს კლუბის ლიდერთა საბჭო, გამოცხადდა კონკურსი კლუბის სახელსა და ლოგოზე, რომელშიც ყველა საფეხურის მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. კლუბის წევრთა გადაწყვეტილებით, კლუბის სახელია „დელტა“, სლოგანი – „ერთად ვაშენოთ მომავალი“. კლუბის წევრებმა თავიდანვე ორიენტაცია აიღეს თემში არსებულ პრობლემებზე.

პირველი ინიციატივა, რომელიც გასული წლის 26 დეკემბერს განახორციელეს, არის „სუფთა გარემო – ჯანსაღი მომავალი“ (ინიციატივა ეკუთვნის **მარი წაქაძეს**, მე-10 კლასის მოსწავლე). დიდ დიღომში, პეტრე იბერის 4ᲐᲬ-ში, 2013 წელს, დასრულდა დიდი „დიღმის ოაზისის“ მშენებლობა. ეს პროექტი მოიცავს ხუთ კორპუსს. მოსახლეობის უმეტესობა ნაგავს კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე ყრიდა, რის გამოც ანტისანიტარია იყო. ჩვენს ინიციატივას სირთულეები შეხვდა: 1. კორპუსები არ იყო ექსპლუატაციაში; 2. საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად ეყარა სამშენებლო ნაგავიც. ამიტომ გვეუბნებოდნენ, რომ ყურადღებას არავინ მოგვაქცევდა. მიუხედავად ამისა, კლუბის წევრები დაუკავშირდნენ დასუფთავების სამსახურს და მათთან ერთად გაწმინდეს ტერიტორია. დღეს აქ საყოფაცხოვრებო ნაგავს აღარ ყრიან.

მეორე ინიციატივა, რომელიც განვახორციელეთ, იყო „ბედნიერი ახალი წელი ყველას“ (ინიციატივა ეკუთვნის **მარიამ მაისურაძეს**, მე-10 კლასის მოსწავლე). ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, ყველა ბავშვი უნდა ცხოვრობდეს მისთვის შესაფერის გარემო პირობებში, მასზე უნდა ზრუნავდნენ მშობლები და სახელმწიფო. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, თუ თანატოლები დაეხმარებიან ერთმანეთს, გამოხატავენ თანადგომას მათ მიმართ. აქაც შეხვდათ კლუბის წევრებს სირთულეები – ახალი წლის წინა დღეებში დიდი ორგანიზაციები დაკავებული იყვნენ თავიანთი საახალწლო აქციებით და გაუჭირდათ სპონსორების მოძიება, ამიტომ მოსწავლეებმა საკუთარი ნახატები სიმბოლურ ფასად გაყიდეს; სკოლაში დადგეს საქველმოქმედო ყუთი და შეგროვილი თანხით იყიდეს ხილი, ტკბილეული და 30 დეკემბერს ქუჩის ბავშვებსა და მოხუცებს დაურიგეს.

კლუბის წევრების მოტივაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც პროექტმა „უსაფრთხო გზა ქვეითს“ გაიმარჯვა მცირე საგრანტო კონკურსში და დაფინანსდა 450 დოლარის ოდენობით. პროექტის მიზანი იყო მოსახლეობისთვის საგზაო წესების დაცვის აუცილებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პროექტში მე-9 კლასის მოსწავლეებმა (**ლუკა დოლიძე** – ხელმძღვანელი, **ირაკლი მანაგაძე**, **ლუკა ჯაფიაშვილი**, **გვანცა ბერიძე** და **ნათია გვარაძე**) მთელი სკოლა ჩართეს და რამდენიმე საინტერესო აქტივობა განახორციელეს – დებატები, ტრენინგები, თემში გამართული საინფორმაციო აქციები, თემატური ვიდეორგოლის გადაღება და სოციალური ქსელით გავრცელება. ასევე აღსანიშნავია, ფლეშმობი, რომელიც კლუბის წევრებმა №186 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეების დახმარებით დადგეს და საზოგადოებას საგზაო წესების შესახებ ინფორმაცია ორიგინალური გზით მიაწოდეს. გარდა საზოგადოების ინფორმირებისა, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გადასასვლელის დახაზვასთან დაკავშირებით, მოსწავლეებმა ადვოკატირების პროცესი აწარმოეს და, მათი ინიციატივის საფუძველზე, თბილისის მერიამ აღნიშნულ ტერიტორიაზე გადასასვლელის მოსაწყობად ტენდერი გამოაცხადა. პროექტი „უსაფრთხო გზა ქვეითს“ წარმატებული ვერ იქნებოდა, რომ არა ქალაქის მერიის, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოძრაობის უსაფრთხოების განყოფილებისა და საბურთალოს რაიონის გამგეობის მხარდაჭერა პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე.

პროექტის დასკვნით პრეზენტაციაზე მოწვეული იყო საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე **შორენა ბუხრაშვილი**, რომელმაც მხარი დაუჭირა პროექტს და კლუბის წევრები საკრებულოში დარბაზისადმი თამარ მეფის სახელდების ღონისძიებაზე მიიწვია, მოსწავლეებს საკრებულოს მუშაობის სპეციფიკა გააცნო. კლუბის მუშაობით დაინტერესებულია და აქტიურად ეხმარება მოსწავლეებს სკოლის დირექტორი **მაია გრიგოლია**, კლუბის მუშაობაში ჩართული არიან მშობლები.

მიღწეულმა წარმატებებმა ჩართულობის ზრდა გამოიწვია. დღეს კლუბში 38 წევრია. შეკრებებზე განიხილავენ პრობლემებს, არჩევენ პრიორიტეტებს. პროგრამის ფარგლებში, განახორციელეს შემდეგი ინიციატივები:

1. „არა პოლიეთილენს“ – ინიციატივა ეკუთვნის **ნინო ქევხიშვილს** (მე-9 კლასის მოსწავლე). მოიძიეს ინფორმაცია, თუ რა ეკოლოგიურ პრობლემებს იწვევს პოლიეთილენის მოხმარება. გადაიღეს ვიდეორგოლი და გაავრცელეს სოციალური ქსელის საშუალებით. ინიციატივის დასკვნით ეტაპზე ჩაატარეს აქცია „არა – პოლიეთილენს“, რასაც მოსახლეობა დადებითად შეხვდა. ბევრმა მათგანმა პირობა მისცა მოსწავლეებს, რომ, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინებდნენ მათ რჩევას.

2. „დედამიწა ჩვენი სახლია“, ინიციატივა ეკუთვნის **ანა გუსოევას** და **მარიამ მაისურაძეს** (მე-10 კლასი). ინიციატივის ფარგლებში, მოეწყო ფილმის ჩვენება – „კაცი, რომელიც ხეებს რგავდა“, გაიმართა დისკუსია; მარიამ მაისურაძემ და ანა გუსოევამ მონაწილეობა მიიღეს კონკურსში „ჩემი დედამიწა“; კონკურსის ფარგლებში, ანა გუსოევა დაჯილდოვდა მოწონებებით, ხოლო მარიამ მაისურაძე საბურთალოს გამგებელმა **ბექა მიქაუტიძემ** დააჯილდოვა.

3. ინიციატივა „რა?სად?როდის? – სამოქალაქო განათლება“ ეკუთვნის **ირაკლი მანაგაძეს** (მე-9 კლასის მოსწავლე), რომელშიც მონაწილეობდნენ: №65 საჯარო სკოლის გუნდი „მომავლის ლიდერები“, №102 საჯარო სკოლის გუნდი „თანასწორობა“, №171 საჯარო სკოლის გუნდი „კრეატიული ახალგაზრდობა“, №186 საჯარო სკოლის გუნდი „დელტა“, №192 საჯარო სკოლის გუნდი „ჯენეზი“ და კერძო სკოლა „ივერონის“ გუნდი „როსონერი“. საბოლოოდ, წამყვანის წინააღმდეგ, ითამაშა გამარჯვებულმა გუნდმა „როსონერი“ და გაიმარჯვა 6:5.

4. „დავუთმოთ დრო წიგნს“ ინიციატივის (**ნინო ქევხიშვილი**, მე-9 კლასის მოსწავლე) ფარგლებში, მოეწყო ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წიგნების გამოფენა-გაყიდვა. მოწვეული იყო წიგნის „ბესტსელერი“ ავტორი **ბექა ადამაშვილი**.

5. 9 მაისს, ვაკის პარკში, ფლაიერებისა და პლაკატების ფონზე, მოსწავლეებმა მოაწყვეს აქცია „მშვიდობა მსოფლიოს“, ესაუბრნენ ომის ვეტერანებს.

კლუბის წევრები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის „მომავლის თაობა“ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში: ტრენინგებში, აქციებში, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებში, პარტნიორი სკოლების მიერ ოგანიზებულ ღონისძიებებში. დაესწრნენ გაეროს მიერ ორგანიზებული „უსაფრთხო გზების“ მესამე კვირეულის გახსნას. კვირეულის ფარგლებში, „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისათვის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **მაია ქობალიამ** მოგვაწოდა ფილმები, რომელთა ჩვენება-განხილვა მოეწყო.

სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ამავე პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელოები. საგაკვეთილო პროცესში, სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებთან და რესურსებთან ერთად, ვიყენებ სახელმძღვანელოებს – „როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე“ და „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის“. მათი მეშვეობით მოსწავლეებს უვითარდებათ აქტიური მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევები (სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცათ მოსწავლეებს). კლუბური მუშაობა ხელს უწყობს საკლასო ოთახში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას, სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა თანამშრომლობას, სოციალური უნარების განვითარებას.

მოსწავლეთა მოტივაციის მიზნით, ვაწყობთ პრეზენტაციებს, წარმატებულებს ვაჯილდოვებთ სერტიფიკატებითა და წიგნებით, კლუბს ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი **ირაკლი მანაგაძე** (მე-9 კლასის მოსწავლე) და აქვს გვერდი facebook-ზე – www.facebook.com/pages/№186 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი „დელტა“, სადაც ასახულია კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობები.

ნინო ბერიკაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

მწერალი, რომელმაც ერთი ჩვეულებრივი მოსწავლე რადიკალურად შეცვალა

ბავშვის მხოლოდ ჩარჩოებში ჩასმა, ეს ბულბულის ოქროს გალიაში დამწყვდევაა, რომელიც ბრწყინვალედ გალობს, მაგრამ სივრცეს არ იცნობს.

გიორგი კეკელიძე, 1998 წ.

ჩვენი თაობის უმეტესობამ ბატონი **გიორგი კეკელიძის** შემოქმედება ბესტსელერ „გურული დღიურების“ მეშვეობით გავიცანით.

წიგნის პრეზენტაციას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დავესწარით, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ასეთ ცერემონიალზე პირველად ვიყავით, იქიდან ამაყები წამოვედით, წამიერად ყველას მწერლობა მოგვინდა. სკოლაში მისი ფრაზებით დავიწყეთ საუბარი: *„გზა, რომელიც ავირჩიეთ, არ იცვლება. იცვლება ნიშნები, რომლებიც ამ გზაზე გვაყენებს, ან მას გვაშორებს, მაღვიძარებიც იცვლებიან.“*

გავეცანით მის ბიოგრაფიას. მხოლოდ 31 წლისაა, თუმცა უკვე ძალიან ბევრს მიაღწია – პრემია „საბას“ ლაურეატია, მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „ოქროს ფრთა“, არის ეროვნული ბიბლიოთეკის Lib.ge-ს დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. Lib.ge პირველი ქართული ინტერნეტბიბლიოთეკაა, რომელიც ათი ათასზე მეტ ორიგინალ და ნათარგმნ ტექსტს მოიცავს და ა.შ.

ალბათ ბევრმა ჩვენმა თანატოლმა არ იცის, რომ მას, „გურული დღიურების“ გარდა, უამრავი რამ აქვს დაწერილი.

ქალბატონი **ნათია კობახიძის** დახმარებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოვიძიეთ ლექსები, რომლებიც იმდენად დიდი ხნის წინ დაუწერია, ჩვენთან სტუმრობისას რომ ნავუკითხეთ, გაოცდა და სიცილით თქვა: *„თან მეცნო და თან გამიკვირდა, კიდევ ვინმე თუ კითხულობდა ამ ლექსებს“.*

ლექსები VII^ბ კლასის მოსწავლეებმა: **ლიკა ხოხიაშვილმა**, **ანი ჯაჭვაძემ**, **ანი დგებუაძემ**, **ნატა ბეშიტაიშვილმა** და **მარიკო მიქაძემ** წაიკითხეს.

შეხვედრის წინ, ღონისძიების ბოლო შტრიხებს ვაზუსტებდით, ამ დროს ბიბლიოთეკაში ისე შემოვიდა, ვერც გავიგეთ. უცებ ერთმა დაიძახა: „მოვიდა!“ ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ბოლო წუთამდე ვერ ვიჯერებდით, რომ გაწერილი დღის გრაფიკში დროს ჩვენთვისაც გამოძებნიდა.

მოსწავლეებმა: **სოფო ჯანიაშვილმა**, **ნანა გოგიამ**, **იზაბელა ვარდანიამ**, **ნანა ჩაჩანიძემ**, **მარიამ ნეფარიძემ**, **ელენე ხართიშვილმა** და **ქრისტინე გოცირიძემ** „გურული დღიურებიდან“ ამონარიდები წაიკითხეს.

გივი და **ანანო მუმლაძეებმა** ვირტუალურად გვამოგზაურეს გურიაში, წაიკითხეს ბაბუის – იური ნიკოლაიშვილისა, და ბებიის – თამარ თევზაძის ლექსები, რათა წარმოეჩინათ, თუ რამდენად ნიჭიერი ხალხია გურულები. *„მსოფლიო ორ ნაწილად იყოფა: გურულები და დანარჩენი“* („გურული დღიურები“).

გივი მუმლაძეს გაკვეთილზე მასწავლებლები ერთ-ორ სიტყვას თუ ათქმევინებენ, ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება იმდენად უნდოდა, რომ 180 გრადუსით შემობრუნდა. ასე შეცვალა გიორგი კეკელიძემ ერთი ჩვეულებრივი მოსწავლის დღევანდელობა.

„ცხენოსანი გურული, რატომღაც უფრო კარგი სიტყვათშეთანხმებაა ვიდრე ნაოსანი გურული“ („გურული დღიურები“). ამ სიტყვებმა დაგვაინტერესა და წარსულში მოგვიწია მოგზაურობა, გავეცანით გურული ცხენოსნების ბიოგრაფიას. *„1880 წელს სახლიდან გაქცეული 14 წლის ბახველი ბიჭი ივანე მახარაძე ბათუმში გემზე ავიდა და ამერიკაში მოხვდა. 1887 წელს ამერიკაში ცირკში გამოსასვლელად ჩავიდა ცნობილი შოუმენის „ბაფალო ბილის“ მოწვევით საქართველოში შეკრებილი მოჯირითეთა გუნდით. 4 წლის განმავლობაში წარმატებული გამოსვლებით თითქმის მთელი ამერიკა აალაპარაკა, უამრავი ჯილდო და საჩუქარი მიიღო, მათ შორის ცხენოსანთა აკადემიის საუკეთესო მხედრებისთვის – გაჭენებული ცხენის ფორმის ოქროს მედალი“* (რუსუდან დაუშვილი, „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“).

ამაყები ვართ, რომ თქვენი სახით შევიძინეთ მეგობარი და გზამკვლევი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. დასასრულს გიორგი კეკელიძემ ჩვენ შეკითხვებს უპასუხა, გვესაუბრა და საინტერესო რჩევა-დარიგებებიც მოგვცა.

„სკოლა ადამიანს პრობლემებთან ჭიდილს ასწავლის, ცხოვრება კი – გამოყენებას“. – გიორგი კეკელიძე 1998 წელი.

ზოგადად გიორგი კეკელიძე სასკოლო *„გასვლებს ორ ნაწილად ჰყოფს: ერთი – ლეგალური, მეორე – ნაკლებად, თუმცა მაინც ყველასათვის მიღებული და აღიარებული – შატალო. ლეგალურში ვგულისხმობთ სტუმრობას მუზეუმში, მონაწილეობას სასკოლო ტურებში, ოლიმპიადებში“.*

„ერთხელ არ ყოფილარიან ბაღნები ექსკურსიაზე“.

ექსკურსიაზე კი ვყოფილვართ, მაგრამ წიგნების ფესტივალზე, 28 მაისს, ნამდვილად პირველად ვიყავით.

ნუ გაუკვირდებათ და ეუცხოვებათ ჩვენს თანატოლებს, რომ აქ განცდილი ბედნიერება ნამდვილად აღემატება „შატალოზე“ მიღებულ უჩვეულო მღელვარებასა და კმაყოფილებას.

ნინო ჟორჟოლიანი,
ნინა სელიპანიშვილი
კერძო სკოლა-ლიცეუმის „მწიგნობართუხუცესი“ მე-2 კორპუსის VIII^ბ კლასის მოსწავლეები

ინფორმაცია

საკოორდინაციო შეხვედრა პროფესიული განათლების თემაზე

ქობულეთში პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასების ვალიდაციის სემინარი და პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. ინსტიტუციური შეფასება ევროპის განათლების ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით დაიგეგმა და გულისხმობს პროფესიული განათლების ძირითადი დაინტერესებული მხარეების ინსტიტუციური და ინდივიდუალური შესაძლებლობების შეფასებას.

ოლივერ დიზი, პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი: *„ჩემს გამოცდილებას მაქსიმალურად გავუზიარებ იმ ადამიანებს, რომლებიც პროფესიული განათლების დარგში მუშაობენ. ჩვენ საქართველოში ვახორციელებთ დასაქმებისა და პროფესიული განათლების ტექნიკური დახმარების პროექტს. ვფიქრობთ, ამ პროექტის დასრულების შემდეგ, საქართველოში, პროფესიული განათლების დონე უფრო მაღალი იქნება და ამ სფეროში მომზადებული კადრები – უფრო კვალიფიციური.“*

ქეთევან ნატრიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„პროფესიული განათლების რეფორმირებაში ჩავრთეთ დამსაქმებლები. სწორედ მათ ვეკითხებით, როგორი კურსდამთავრებული სჭირდებათ, როგორი კადრები უნდა მოვუმზადოთ იმისათვის, რომ უკეთესი იყოს დასაქმების მაჩვენებელი. ამ პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდამჭერები არიან სოციალური პარტნიორები და ასევე ევროკავშირის დიდი პროგრამა – ტექნიკური დახმარების პროექტი.“*

მოჭიდავე გოგონები მოგვიმრავლდნენ

გასულ უქმეებზე, თურქეთის ქალაქ იზმირში, ჩატარდა მაჰმუტ ატალისა და იასარ ერქანის მემორიალი ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის, რომელიც ბიჭების გარდა, გოგონებშიც ტარდება. საბედნიეროდ, წლეულს მასში ქართველი გოგონებიც გამოვიდნენ და წარმატებითაც – **თამარ ხოჯაშვილმა** (56) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გოგონების ჭიდაობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია არ აქვს. შეიძლება ითქვას, ის ახლა იწყებს აღორძინებას და ჯერჯერობით სულ რამდენიმე ქალაქში მუშაობს სათანადო ჯგუფები. გოგონების ნაკრებს ადრე კურატორობას ევროპის ორგზის ჩემპიონი **დავით პოღოსიანი** უწევდა, ახლა კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბესარიონ გოჩაშვილი** ავარჯიშებს. ორივე მწვრთნელი გორელია და გასაგებია, რომ მოჭიდავე გოგონების დიდი წილი სწორედ ამ ქალაქზე მოდის. თუმცა, ხოჯაშვილი თბილისელია, კლუბ „დიღომში“ ვარჯიშობს **ზურაბ ტატუაშვილთან**.

აღსანიშნავია, რომ ეს არაა ჩვენი გოგონების პირველი მედალი – ორიოდე წლის წინ, ისევ თურქეთში, გორელმა **გვანცა კარელიძემ** (44) ფინალი იჭიდავა. ის ახლა იზმირშიც გამოდიოდა, თუმცა ამჯერად უმედლოდ დარჩა. საწყენია, რომ ჩვენში გოგონების ნაკრებს არ ექცევა სათანადო ყურადღება. მათ აკლიათ დაფინანსება, ბიუჯეტი მიზერულია. შესაბამისად, სატურნირო პრაქტიკაც აკლიათ. იმედია, ეს მიდგომა შეიცვლება და მდგომარეობა გამოსწორდება.

იზმირში საქართველოს გაერთიანებულმა ნაკრებმა სულ 17 მედალი მოიპოვა – 3 ოქრო, 6 ვერცხლი და 8 ბრინჯაო. ეს მედლები ცალკეულ გუნდებზე ასეა გადანაწილებული: თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 9 მედალი მოიპოვეს – 1 ოქრო, და 4-4 ვერცხლ-ბრინჯაო; ბერძენ-რომაელთა წილად 7 ჯილდოა – 2-2 ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო; ერთი მედალი კი, როგორც გითხარით, გოგონების ნაკრების ნადავლია. „თავისუფალთაგან“ ჩემპიონი **გოგა მამიაური** (63) გახდა, **გიორგი ხაჩიძე** (46), **თეიმურაზ ვანიშვილი** (54), **დემურ მეგენეიშვილი** (76) და **ბექა ჭელიძე** (85) მხოლოდ ფინალურ პაექრობებში დამარცხდნენ, ბრინჯაოს მედლებს კი **თორნიკე ქათამაძე** (42), **ივერიკო ჯულაყიძე** (69), **თორნიკე კვინიკაძე** (63) და **ზურაბ ურთაშვილი** (100) დაეუფლნენ.

ბერძენ-რომაელთაგან ოქროს მედლებს **ჯონი ხეცურიანი** (58) და **აივენგო რიკაძე** (63) დაეუფლნენ, ვიცე-ჩემპიონები – **გიორგი შოთაძე** (46) და **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (69) გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილზე კი **გიორგი მეფიშვილი** (46), **თემურ ჭკუასელიძე** (76) და **ბექა მაკარიძე** (100) გავიდნენ. ორივე ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეორე აღმოჩნდა მასპინძელთა შემდეგ.

ეს ტურნირი ერთ-ერთი საკვანძო ეტაპია ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც ორიოდ თვეში, 4-9 აგვისტოს, სერბეთის ქალაქი სუბოტიცა უმასპინძლებს. არსებითად, იქ წასაყვანი შემადგენლობა მწვრთნელებისთვის უკვე ცნობილია და ეს შეჯიბრება მოზარდებისთვის სატურნირო დანიშნულებას ატარებდა.

სასკოლო ლიგაც დასრულდა

31 მაისს დასრულდა „სკოლბურთი-2015“ გათამაშება, რომელსაც სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია ატარებს. გათამაშებამ სტარტი ზამთარში აიღო და რამდენიმე ეტაპად გაიმართა. ტურნირში, თბილისური სკოლების გარდა, რაიონების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. საერთო ჯამში, შეჯიბრებაში 240-მდე კერძო და საჯარო სკოლა გამოდიოდა, მოთამაშეთა რაოდენობა კი 2200-მდე იყო.

ტურნირი თავდაპირველად თბილისში დაიწყო, სადაც მონაწილენი 16 გუნდად იყვნენ დაყოფილი. ამ ჯგუფების 16 გამარჯვებული პირდაპირ გავიდა 1/16-ფინალში, რომლებსაც 5 საუკეთესო მეორეადგილოსანიც დაემატა. იგივე უფლება მოიპოვეს რეგიონულ პირველობებში გამარჯვებულებმაც – ბათუმის №1 საჯარო სკოლა, წინანდალი თელავიდან, ახალციხის №1 და №5, ახალქალაქის №1, ბორჯომის №6, თიანეთის №1, წეროვანის №3 საჯარო მცხეთიდან, ლაგოდეხიდან სოფელ გიორგეთის, ახმეტიდან ალვანის №2, დმანისის №3 და სოფელ დმანისის საჯარო სკოლები.

ფინალში თამაშის უფლება დედაქალაქის 149-ე და 115-ე საჯარო სკოლების გუნდებმა მოიპოვეს. შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომელიც საბოლოოდ უგოლოდ დასრულდა, გამარჯვებული კი პენალტების სერიამ გამოავლინა. კარგად ითამაშეს ორივე გუნდის მეკარეებმა, თუმცა თავი მაინც 149-ეს მეკარე **მამუკა ბახტაძემ** გამოიჩინა. გარდა იმისა, რომ მან თამაშშიც მოიგერია არაერთი ძლიერი დარტყმა, მატჩის შემდგომ, პენალტების სერიაშიც მოიგერია ერთი დარტყმა. მას მხარი თანაგუნდელებმაც აუბეს, რომლებმაც ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს და პენალტების სერია 3:1 მოიგეს. ამდენად, „სკოლბურთი-2015“-ის გამარჯვებული თბილისის 149-ე სკოლის გუნდი გახდა. ვერცხლის მედლები 115-ეს გადაეცა, ბრინჯაო კი 51-ემ მოიპოვა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში მათ 3:2 მოუგეს 120-ეს. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ესეც დაძაბული და საინტერესო პაექრობა იყო. პირველი ტაიმი **ერეკლე ზუბაშვილის** 51-ემ 1:0 მოიგო. მეორეში მეტოქემ თამაში გაათანაბრა, თანდათან უპირატესობასაც დაეუფლა და 2 გოლიც გაიტანა. 120-ე სკოლა **ივანე გაჩეჩილაძის** და **თორნიკე გახოკიძის** გოლებით 2:1 დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა – ჯერ **სანდრო ქაჯაიამ** გაათანაბრა, მერე კი **ზურაბ ჯიმშელეიშვილმა** გადამწყვეტი გოლიც გაიტანა. საბოლოოდ 51-ე სკოლამ 3:2 მოიგო.

სეუმ ფუტსალში იყოჩაღა

ფუტსალში სტუდენტური ლიგის წლევანდელი გამარჯვებული სეუ-ს გუნდი გახდა. ფინალი დაძაბული და დრამატული გამოდგა, რადგან ძირითადი დრო ფრედ დასრულდა – 2:2. გამარჯვებულის გამოსავლენად კი პენალტების სერია გახდა საჭირო, რომელშიც მომავალმა ჩემპიონებმა ილიას უნივერსიტეტის გუნდს 3:1 მოუგეს.

სტუდენტური ლიგის წლევანდელი გათამაშება მარტში დაიწყო საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (პრეზიდენტი – **ლექსო გუგავა**) თაოსნობით, რომელსაც ორგანიზებაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროც ეხმარებოდა, გენერალური სპონსორი კი „მაგთიკომი“ გახლდათ. ტურნირში 12 გუნდი მონაწილეობდა, ნახევარფინალში კი გუნდები ასე დაწყვილდნენ: სტუ-ილიას უნივერსიტეტი; სეუ-თსუ.

ორივე შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა და გამარჯვებულებმა მხოლოდ მინიმალური სხვაობით იმარჯვეს. ილიას უნივერსიტეტმა 3:2 მოუგო ტექნიკოსებს, ხოლო სეუ-მ სულაც 1 გოლი გაუტანა მეტოქეს, რაც გუნდების ერთადერთი წარმატება აღმოჩნდა.

როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ფინალური პაექრობა დაძაბული გამოდგა და ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, 2:2, პენალტების სერია კი უფრო უკეთ **ამირან ცხომარიას** გაწვრთნილმა სტუდენტებმა დაარტყეს. აღსანიშნავია, რომ ილიას უნივერსიტეტის გუნდს ბრაზილიელი **ელიას ანდრესი** წვრთნის. ტურნირის ბომბარდირი, 15 გოლით, მისი შეგირდი **შალვა კვანტალიანი** (ილიას უნივერსიტეტი) გახდა, საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი ჩემპიონთა ლიდერ **გია ნიკვაშვილს** გადაეცა.

მესამე ადგილზე თსუ-ს გუნდი გავიდა, რომელმაც შესაბამის შეხვედრაში სტუ-ს ნაკრები 4:1 დაამარცხა. მედალოსნები თასებით, მედლებითა და სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოეს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

კრებულის ფასი – 12 ლარი

საყვარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

9 ლარი

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით აღმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბაღი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

თავფეხიდან პორტრეტისკენ

ბავშვის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე საყვარელი ობიექტი ადამიანია. ასიდან 70 შემთხვევაში ის პატარა მხატვრის ყურადღების ცენტრშია. ამაში კი თანამედროვე ცხოვრების წესია დამნაშავე – ადამიანი ჯერ ყველგან და ყველაფერში არ შეუცვლია მანქანას, პატარა ჯერ კიდევ გარემოცულია დედ-მამის, ბებია-ბაბუების ყურადღებით და ასე შემდეგ. პატარა ბავშვი პირველი ღალიმებისთანავე არა მარტო ყველასათვის ძვირფას არსებად იქცევა, არამედ იმ არსებადაც, რომელიც ღიმილით გვიდასტურებს ურთიერთობისთვის მზადყოფნას.



უფროსებზეა დამოკიდებული, გაუნელდება თუ არა პატარას ადამიანებისადმი ინტერესი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის სოციალიზაციისთვის და უბრალოდ იმიტომ, რომ ადამიანი მაშინ არის ჭეშმარიტად ბედნიერი, როცა მას უყვარს და როცა ის უყვართ, როცა მისი ესმით და თავადაც ესმის სხვების, როცა თანაუგრძნობს ადამიანებს. ეს ყველაფერი ერთგვარი ნიჭია და ის ბავშვს რაც შეიძლება ადრე უნდა განვუვითაროთ. სწორედ ამ საქმეში წარუმატებლობაზე მოგვითხრობენ ბავშვების ნახატები, სადაც უსულო საგნების გამოსახულება ავიწროებს ან სრულიად გადაფარავს ოჯახის წევრთა სურათებს. საუკეთესო შემთხვევაში ადამიანები სურათზე გამოსახული საგნების უმნიშვნელო დანამატები ხდებიან. თუ ბავშვის ნახატებს შეინახავთ, შეძლებთ, თვალი მიადევნოთ, როგორ იცვლება ადამიანის გამოსახულება მხატვრის ასაკთან ერთად. ის თავდაპირველად წარმოადგენს წრეს ან ოვალს, რომელსაც პირდაპირ უერთდება ხელები და ფეხები (ასე ხატავენ 3-4 წლის პატარები), ბოლოს კი ნამდვილი ადამიანის სახეს იღებს, რომელსაც ტანსაცმლის დეტალებიც კი კარგად აქვს დახატული. ექვსი წლისთვის ბავშვი, როგორც წესი, სრულყოფილად ფლობს ადამიანის თუნდაც რთულ სივრცულ რაკურსებში გამოსახვის ნიუანსებს და რთული ნახატების შესრულებას იწყებს. ამ ნახატებს აქვს მრავალფეროვანი ფონი, რომელსაც ქმნიან შენობები, მანქანები, ცხოველები, ნივთები. ისინი პერსონაჟის პროფესიას ან საქმიანობას გადმოგვცემენ. ასაკის მატებასთან ერთად მხოლოდ ადამიანის გამოსახვის ტექნიკა როდი განიცდის სრულყოფას – ბავშვი ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ნახატზე ასახავს საკუთარ დამოკიდებულებას ამ პიროვნების მიმართ. მხატვარი ყურადღებით იკვლევს ადამიანებს და საკუთარ თავს. წარმოსახვისთვის შეუდარებლად მეტ საზრდოს გვაწვდის ავტოპორტრეტი, რომელიც ზუსტ ინფორმაციას შეიცავს პატარა ბავშვის მომავალი პროფესიული გატაცებებისა თუ ხასიათის შესახებ. ძალიან საინტერესოა ავტოპორტრეტის ევოლუცია, ასაკთან ერთად გემოვნების, მისწრაფებების, ინტერესების ცვლილება. ექვსი წლისთვის საკუთარი ინტერესების გამოსახატავად პატარები უმდიდრეს პალიტრას იყენებენ. გოგონები, წესისამებრ, ხატავენ კაბებს, თაიგულებს, ბიჭები – სხვადასხვა სამუშაო თუ საბრძოლო იარაღს.

ზოგჯერ ბავშვები სხვადასხვა ადამიანს ერთნაირად ხატავენ. ეს შესაძლოა ემოციური განვითარების ერთგვარ შეფერხებასთან იყოს დაკავშირებული, თუმცა უფრო ხშირად ამ ერთფეროვნების მიზეზია გამოსახული ადამიანების ერთნაირი სოციალური როლი. მაგალითად, ბავშვმა შესაძლოა ერთნაირად დახატოს თანაკლასელები. მიზეზი გასაგებია – ყველა მოსწავლეა. დახატული ადამიანებისადმი მხატვრის დამოკიდებულებას, გარდა ფერისა, წარმოაჩენს ისეთი დეტალებიც, როგორებიცაა აქსესუარები, ფეხსაცმელი, ღილები, ჯიბეები, საყურეები... ასეთი აქსესუარები საყვარელ ადამიანს უფრო მეტად ამშვენებს, ვიდრე იმას, ვინც პატარას არ უყვარს. ბავშვის ნახატები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ოჯახური ურთიერთობის შესახებ. დედა, რომელიც ამზადებს კერძებს, შლის სუფრას, ალაგებს ბინას და მამა, რომელიც გაზეთს კითხულობს ან მანქანას არემონტებს, თანამედროვე ოჯახური ურთიერთობების ასახვაა. ასეთი ნახატები პროფესიონალი მხატვრების ნამუშევრებზე ნაკლებად როდი მეტყველებს თანამედროვე ყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ პატარები რეალისტები არიან, ისინი ფანტაზიორობასაც აგრძელებენ. მათ ძალიან მოსწონთ, როდესაც საკუთარი თავისა და ახლობლების ცხოველებად გამოსახვას ავალებენ. თუ პატარა ბავშვს ასეთ დავალებას მისცემთ, სიბრძნე და მოთმინება გმართებთ, თუნდაც პატარამ თქვენთვის სავსებით არასიმპათიური ცხოველის როლი დაგაკისროთ. ერთ დედას მეტისმეტად ეწყინა და აგრესიულად დაიწყო იმის გარკვევა, რატომ დახატა ბავშვმა გველის სახით. არადა, საკმარისი იყო ცოტაოდენი მოთმინება და სიმშვიდე, რათა დედას სასიამოვნო პასუხი მიეღო – ბავშვმა ხაზი გაუსვა მის სიბრძნეს, გრაციოზულობას. შესაძლოა, ახსნა არც ისე საისამოვნო აღმოჩნდეს. მრისხანება ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია. თქვენ ვალდებული ხართ დაუფიქრდეთ მიზეზს. შესაძლოა, სადღაც შეცდით, ბავშვის აზრით, მეტისმეტად მკაცრი ან უსამართლო იყავით. შეეცადეთ, უფრო მომთმენი, რბილი გახდეთ (ოდნავ მაინც!) და ბავშვი აღარ დახატავს ოჯახურ პორტრეტს, რომელზეც ცენტრში უახლოესი ადამიანების ნაცვლად ძაღლი ან თუთიყუში არიან, ვინაიდან ყველაზე მეტ სიახლოვეს სწორედ მათთან გრძნობს. ზოგჯერ ბავშვის ნახატში რომელიმე უფროსი ან თავად ნახატის ავტორი არ ჩანს. პატარები მიზეზსაც განმარტავენ: „დედა ჩემს უმცროს დას ასეირნებს" ან „მე ბებოსთან დამტოვეს". ჩვეულებრივ, ასე რეაგირებენ უფროსი ბავშვები ოჯახში უმცროსის გაჩენაზე. ეს საგანგაშო სიგნალია მშობლებისთვის და მიუთითებს, რომ უფროსი შვილი თავს ოჯახური ცხოვრებისგან იზოლირებულად, განცალკევებულად, გარიყულად გრძნობს. მშობლები უნდა ეცადონ, უფროსი შვილი საოჯახო საქმიანობაში ჩართონ, დააკისრონ (რასაკვირველია, ასაკის შესაფერისად) პატარაზე ზრუნვის საპასუხისმგებლო მისია. ბავშვი უნდა დარწმუნდეს, რომ მშობლების სიყვარული მის მიმართ კი არ განახევრდა, არამედ გაორმაგდა. ერთი შეხედვით შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ბავშვის ნახატების ანალიზი სულაც არ არის რთული, მაგრამ ამავე დროს მშობლებმა თავი უნდა არიდონ მკაცრ ფორმულირებას და ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმას, რადგან არსებობს უამრავი ნიუანსი, რომლებსაც მხოლოდ სპეციალისტები, ბავშვთა ფსიქოლოგები იცნობენ.

გარდა ამისა, ადამიანი, რომელიც ნახატს აანალიზებს, ბავშვის ქმნილებას საკუთარ პრიზმაში განიხილავს, საკუთარ გამოცდილებას და სულიერ მდგომარეობას უსადაგებს. ამიტომაც არ არის რეკომენდებული შორს მიმავალი დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა. თუ მიგაჩნიათ, რომ ბავშვის სურათზე რაღაც ძალზე საყურადღებო და, უფრო მეტიც, საგანგაშოა გამოსახული, ჯობს, სპეციალისტს მიმართოთ. იმედია, მისი დახმარებით ყველაფერს დაძლევთ.

მარიკა დვალი

mkurnali.ge

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >